

ანგარიში

ავსტრალიური მონაცემთა დასვინ
ბეზომარეობის და ინსავექტორის
საქმიანობის შესახებ

2018

1

ანგარიში

ავრსონადურ მონაცემთა დახვის
მდომარეობის და ინსაქტორის
საქმიანობის შესახებ

2018



პერსონალურ მონაცემთა დაცვის
ინსპექტორის აპარატი



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Human Rights 4All



Empowered lives.
Resilient nations.

შესავალი

2

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შეხედულებებს.




შესავალი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის რიგით მეექვსე ანგარიში 2018 წელს ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის მდგომარეობას და განუღმ საქმიანობას აჯამებს. დოკუმენტში თავმოყრილია ინფორმაცია, ერთი მხრივ, გამოვლენილი სამართალდარღვევების, პრობლემატური საკითხებისა და არსებული გამოწვევების, მეორე მხრივ, კი ინსპექტორის რეაგირების შედეგების, გაუმჯობესებული პროცესებისა და პოზიტიური დინამიკის შესახებ. ინფორმაცია კონკრეტული საქმეებისა და სტატისტიკის შესახებ არა მხოლოდ 2018 წლის, არამედ ბოლო 6 წლის განმავლობაში ინსპექტორის საქმიანობისა და ტენდენციების ანალიზის საშუალებას იძლევა.


მომართვიანობისა და ინსპექტირებების ზრდის ტენდენცია მეექვსე წელია უცვლელია. მოქალაქეების 382 მომართვისა და ჩატარებული 148 ინსპექტირების შედეგად, აპარატმა საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დამუშავების 470 პროცესი შეისწავლა. გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 266 ფაქტი. 72 ფაქტზე მოხდა ჯარიმის დაკისრება, 61 ფაქტზე — გაფრთხილება, 67 სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ მოხერხდა, კანონმდებლობით გათვალისწინებული 2-თვიანი ხანდაზმულობის ვადის გამო. დამატებით გაიცა შესასრულებლად სავალდებულო 316 დავალება და რეკომენდაცია.

ქერძო საქმორი



- სასტუმრო
- ბანკი
- მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
- სს კრედიტიფო
- სესხის ამომღები კომპანიები
- აზარტული თამაშები და ონლაინ სერვისები
- მარკეტინგული კომპანიები
- სავაჭრო და მომსახურების გამწვევი კომპანიები
- კომუნიკაციების კომპანიები
- კერძო უნივერსიტეტები და საგანმანათლებლო დაწესებულებები
- სამედიცინო, სადამლევეო, ფარმაცევტული და ესთეტიკური დაწესებულებები
- ფიზიკური პირი/ინდემენარმე
- სხვა

საჯარო საქმორი



- საარჩევნო სუბიექტები/საარჩევნო ადმინისტრაცია
- ჯანდაცვის სამინისტრო და მისი სსიპები
- საჯარო სკოლა
- ადგილობრივი თვითმმართველობები
- ფინანსთა სამინისტრო და მისი სსიპები
- საქართველოს პროკურატურა
- იუსტიციის სამინისტრო და მისი სსიპები
- შინაგან საქმეთა სამინისტრო და მისი სსიპები
- სასაქონლო რეგისტრაციისა და პრობაციის სამინისტრო/სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტი
- უსაფრთხოების სამსახური და ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო
- სხვა

მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეთა მომართვიანობისა და ჩატარებული შემონმბებების რაოდენობის ზრდის ფონზე, გასული 6 წლის განმავლობაში პირველად დაფიქსირდა სამართალდარღვევებისა და ჯარიმების რაოდენობის კლება. საჯარო სექტორში, მსხვილ და საშუალო ბიზნესში საგრძობლად გაზრდილია პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ინფორმირებულობის დონე, ასევე ინტერესი ინსპექტორის აპარატთან წინასწარი კონსულტაციების მიმართ. მნიშვნელოვანია მოქალაქეების აქტიურობის ზრდაც: 2018 წელს განეული 6100-ზე მეტი კონსულტაციიდან ძირითადი ნაწილი სწორედ მოქალაქეებზე მოდიოდა.

პროგრესთან ერთად კვლავ იკვეთება გამოწვევები, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. მათ შორის, მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადამონმბება, მონაცემების კანონდარღვევით გამჟღავნება, არასრულწლოვანთა მონაცემების მიმართ მეტი სიფრთხილის გამოჩენის საჭიროება და სხვა. განსაკუთრებით აქტუალური იყო ამომრჩევლის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები, რასაც ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა.

ინსპექტორი აგრძელებდა თანამშრომლობას საქართველოს პარლამენტთან, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ეროვნულ ბანკთან და სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე მონაცემთა დაცვის სტანდარტების ამაღლების მიზნით. საანგარიშო პერიოდში აპარატმა 40 საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით წარადგინა მოსაზრებები და შეისწავლა სხვადასხვა სამართლებრივი სფეროს მარეგულირებელი 100-ზე მეტი ნორმატიული აქტის პროექტი.

ინსპექტორის აპარატი 2018 წლის განმავლობაშიც აგრძელებდა აქტიურ საგანმანათლებლო საქმიანობას. ტრენინგების შედეგად საჯარო და კერძო სექტორის 1200 წარმომადგენელს მიეცა პერსონალური მონაცემების დაცვის თემაზე ცოდნის შეძენისა და გაღრმავების შესაძლებლობა. ჩატარდა ტრენინგების სერია თვითმმართველობის ორგანოებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით, მომზადდა და საზოგადოებას წარედგინა რეკომენდაციები ჯანდაცვისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. მომზადდა სახელმძღვანელო ევროკავშირის ახალი რეგულაციის შესახებ, დოკუმენტი ითარგმნა და ხელმისაწვდომი გახდა ინსპექტორის აპარატის ვებგვერდის საშუალებით.

ინსპექტორის აპარატი აქტიურად მუშაობდა მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებაზეც. ჩატარდა არაერთი შეხვედრა, ღონისძიება და კამპანია, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით შეიქმნა ახალი ვებგვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისთვის, ასევე საქმის წარმოების პროგრამა, რომელზე დარეგისტრირების შემდეგ ინსპექტორის აპარატთან ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ერთ ონლაინ სივრცეშია შესაძლებელი.


ინსპექტორის აპარატი კვლავ აქტიურად არის ჩართული საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, მათ შორის, ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის შესრულებაში. ინსპექტორი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო პლატფორმებსა და კონფერენციებში, 2018 წლის ივლისში კი თამარ ქალდანი ევროპის საბჭოს 108-ე კონვენციის საკონსულტაციო კომიტეტის პლენარულ სხდომაზე ბიუროს წევრად და პირველ ვიცე პრეზიდენტად აირჩიეს. ევროპელი


ექსპერტების მონაწილეობით მომზადდა საკანონმდებლო წინადადებები პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე კანონის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასა და ქვეყანაში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტების ამაღლებას.



მონაცემთა
დაცვის
6 წელი


მოქალაქეთა მომართუიანობა







 მონაცემთა
6 დასვნი
 წელი

ბანკური კონსულტანტების რაოდენობა




შენახვილი პროცენტების რაოდენობა






აღნიშნული
6
წელი

ონსაქმობის რაოდენობა




ბამოვლენილი სავარაუდოაწარმოების რაოდენობა






მონაცემთა
6
წელი

შეზარდახელი ადგილისთვის სანდო-
ჭარბა/გაფრთხილება თანაფარდობა




ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა





ინსპექტორის მიერ ბაზაზელი
დავადება/რეკომენდაციების რაოდენობა



მონაცემთა დაშუშავება საჯარო საქმორში

3



მონაცემთა დაუზავება საჯარო სექტორში


საჯარო დაწესებულებების მიერ ადამიანის პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების უზრუნველყოფა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა საჯარო უწყებებისადმი მოქალაქეთა ნდობის განმტკიცების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო დაწესებულებების საქმიანობა და მათ მიერ მონაცემთა დამუშავების წესი უმეტესად კანონმდებლობით პირდაპირ რეგულირდება, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა რამდენიმე პრობლემა, რაც პერსონალური მონაცემების დაცვისთვის ეფექტიანი სამართლებრივი თუ ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების გატარებისა და საჯარო მოხელეთა მეტი ინფორმირებულობის საჭიროებაზე მიუთითებს.

2018 წელს გამოვლინდა საჯარო დაწესებულებაში დაცულ მონაცემთა ბაზებზე მოხელეთა არასამსახურებრივი მიზნით წვდომისა და ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის რამდენიმე ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ინსპექტორის აპარატის მიერ გამოვლენილ საჯარო მოსამსახურეების გადაცდომებზე თავად უწყებებიც ახდენდნენ დისციპლინურ რეაგირებას, თუმცა არასამსახურებრივი მიზნით მონაცემებზე წვდომის პრევენციისათვის, მნიშვნელოვანია შიდა კონტროლის მექანიზმების გაძლიერება.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორმა შეისწავლა სამინისტროების, საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, მათ შორის საჯარო სამსახურის ბიუროს, საჯარო სკოლებისა და სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ მონაცემთა დამუშავების 115 ფაქტი. 70 სამართალდარღვევის ფაქტზე 11 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ჯარიმა, ხოლო 7 შემთხვევაში - გაფრთხილება; გარკვეულ დარღვევებზე, ხანდაზმულობიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება ვერ მოხდა, თუმცა გაიცა 50 შესასრულებლად სავალდებულო მიითითება და რეკომენდაცია.

2018 წელს მზარდი იყო საჯარო ორგანიზაციების მიმართვიანობა კონსულტაციებისთვის. გასულ წელს ინსპექტორის აპარატმა 915 კონსულტაცია გაუწია საჯარო დაწესებულებებს. ჩატარდა ათეულობით

ინსპექტორმა 2018 წელს საჯარო სექტორში მონაცემთა დამუშავების 115 ფაქტი შეისწავლა



ტრენინგი და სამუშაო შეხვედრა, მათ შორის, 51 მუნიციპალიტეტის, საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებების 750-ზე მეტი წარმომადგენლისთვის.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის მსგავსად, პროგრესი შეინიშნება საჯარო დაწესებულებების მიერ მონაცემთა საფუძვლების, მათი მოცულობისა და შენახვის ვადების განსაზღვრის თვალსაზრისით, თუმცა კვლავ იკვეთება გარკვეული ხარვეზები (მათ შორის, არასრულწლოვანთა მონაცემების მიმართ მეტი სიფრთხილის გამოჩენის საჭიროება), რომელთა ნაწილიც ანგარიშში მაგალითების სახით არის წარმოდგენილი.

საჯარო სექტორი 2018 წელი



საჯარო დაწესებულებაში დაცული მონაცემთა ბაზები და მონაცემთა უსაფრთხოება

განათლების, დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების ეფექტიანობის, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა უსაფრთხოების, უფლებების დაცვის, შემოსავლებისა და გადასახადების ადმინისტრირების, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა თუ კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ლეგიტიმური მიზნებით საჯარო დაწესებულებებში იქმნება მოცულობითი მონაცემთა ბაზები.

მონაცემთა ბაზებში არსებული ინფორმაციის უსაფრთხოება, მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისა და გამოყენებისგან დაცვა ნებისმიერი მონაცემთა დამმუშავებელი ორგანიზაციის, მათ შორის საჯარო დაწესებულებების, ვალდებულებას წარმოადგენს. რისკების არასათანადო შეფასებამ ან მონაცემთა დასაცავად არასაკმარისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღებამ შესაძლოა, შექმნას მონაცემების უკანონო დამუშავების საფრთხე და ზიანი მიაყენოს როგორც საჯარო დაწესებულების რეპუტაციას, ასევე კონკრეტული მოქალაქის ინტერესებს.

ბაზებში დაცული მონაცემების მოცულობისა და მათი მარტივად მოძიების შესაძლებლობიდან გამომდინარე, უწყებაში დაცული მონაცემების უსაფრთხოებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზებში დაცულ მონაცემებზე წვდომის სისტემატური მონიტორინგი. ამასთან, თანამშრომელთა მხრიდან პირადი მიზნებით მონაცემთა დამუშავების აღსაკვეთად მნიშვნელოვანია დასაქმებული პირების ჯეროვანი ინფორმირება მონაცემთა დამუშავების წესებისა და თანმდევი შედეგების თაობაზე.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორს მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ ერთ-ერთი სამინისტროს თანამშრომელმა, სავარაუდოდ, სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით, უკანონოდ მოიპოვა მისი პერსონალური მონაცემები. განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ სამინისტროში დასაქმებულმა პირმა პირადი

მიზნებით გამოიყენა მისთვის გადაცემული ე.წ. დიჯიპასი და მოიპოვა განმცხადებლის მონაცემები. აღნიშნულ ფაქტზე სამინისტრომ თავად ჩაატარა სამსახურებრივი მოკვლევა და დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისრა მოხელეს.

ერთ-ერთი მოქალაქე მიუთითებდა, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მისი წერილობითი მიმართვა ხელმისაწვდომი გახადა ამავე მიმართვაში დასახელებული პირებისთვის. აღნიშნული ფაქტის დასადასტურებლად წარმოადგინა სოციალურ ქსელ - „Facebook“-ში რამდენიმე პირს შორის შემდგარი პირადი მიმოწერის ამსახველი ფოტომასალა, სადაც განიხილებოდა განმცხადებლის მიერ სამინისტროსთვის გაგზავნილ წერილობით მიმართვაში მითითებული საკითხები და ნახსენები იყო მიმართვის ავტორის სახელი და გვარი. განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ მოქალაქის წერილობითი მიმართვა შეეხებოდა აივ/შიდსით შესაძლო ინფიცირების საფრთხეებს. სამინისტრომ წერილი რეაგირების მიზნით გადაუგზავნა სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს. თავის მხრივ, სსიპ-მა მიმართვა მასში მითითებული გარემოებების დადგენის მიზნით გადასცა კონტრაქტორ ორგანიზაციებს. ცენტრსა და კონტრაქტორ ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულებით, მათ ვალდებულებას წარმოადგენდა აივ ინფექციის/შიდსის პრევენცია, რისკის ქვეშ მყოფი თემის წევრების მობილიზება და მათთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. განხილულ შემთხვევაში, კონტრაქტორებისგან დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელი იყო წერილის ავტორის იდენტიფიცირების გარეშეც, მით უფრო რომ წერილის შინაარსი ქმნიდა ავტორისთვის გარკვეული ზიანის მიყენების საფრთხეს. აღსანიშნავია, რომ ინსპექტორის დავალების საფუძველზე, სამინისტრომ მონაცემების დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად განსაზღვრა რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გატარების საჭიროება.

ინსპექტორს მომართეს მოქალაქეებმა და მიუთითეს, რომ ერთ-ერთი საჯარო უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა „Facebook“-გვერდზე გაასაჯაროვა მათ შესახებ ამავე უწყებაში დაცული პერსონალური მონაცემები. განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ მათი მონაცემების გასაჯაროების ეტაპისთვის აღნიშნული პირი აღარ იკავებდა უწყების ხელმძღვანელის თანამდებობას და ამდენად, გაურკვეველი იყო, რა უფლებით ჰქონდა მას წვდომა უწყებაში დაცულ პერსონალურ მონაცემებზე. გამოქვეყნებული ინფორმაცია ასევე შეიცავდა ერთ-ერთი განმცხადებლის მიმართ ჩატარებული დისციპლინური წარმოების შესახებ დასკვნასაც. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებლების საჯარო უწყებაში დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველები, მათ შორის ერთ-ერთი განმცხადებლის მიმართ ჩატარებული დისციპლინური წარმოების შესახებ დასკვნა, ყოფილი ხელმძღვანელისთვის ცნობილი იყო სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე. განმცხადებლების შესახებ მონაცემების გამოქვეყნების მომენტისთვის მას დატოვებული ჰქონდა სამსახურებრივი პოზიცია და ის აღარ მოქმედებდა საჯარო უწყების სახელით. განხილვის ფარგლებში, უწყების ყოფილი ხელმძღვანელი მიუთითებდა, რომ ე.წ. პოსტის გამოქვეყნებისას აღარ იყო შებოჭილი საჯარო მოხელის თემის ვალდებულებით და მოქმედებდა, როგორც ფიზიკური პირი. ამასთან, თავად განმცხადებლის ინიციატივით მედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე მას ჰქონდა კანონიერი ინტერესი, საზოგადოებისთვის მიეწოდებინა სწორი და ჭეშმარიტი ინფორმაცია.

საგულისხმოა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საჯარო მოხელე ვალდებულია როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, ისე სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ არ გაავრცელოს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით გახდა ცნობილი. ხაზგასასმელია, რომ თავად ამ საჯარო უწყების რეგულაციით, სამსახურის დატოვების შემდეგ უწყების თა-

ნამშრომელს ჰქონდა ვალდებულება, მის ხელთ არსებული სამ-სახურებრივი დოკუმენტაცია გადაეხარებინა უწყებისთვის.

მოცემულ შემთხვევაში, ინსპექტორის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ ერთ-ერთი განმცხადებლის მიერ მედიასა-შუალებებით გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ უწყების ყოფილ ხელმძღვანელს ჰქონდა კანონიერი ინტერესი, გაეკეთებინა განმარტებები, თუმცა მეორე განმცხადებლის მიმართ ჩატარებული დისციპლინური წარმოების შესახებ დასკვნის გამოქვეყნება არ იქნა მიჩნეული პროპორციულ და კანონიერ ზომად. ამდენად, დისციპლინური წარმოების შესახებ დასკვნის გასაჯაროების ფაქტზე უწყების ყოფილი ხელმძღვანელი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. მას ასევე დაევალა გასაჯაროებული დოკუმენტის წაშლა, საჯარო უწყებას კი მიეცა რეკომენდაცია, განესაზღვრა შიდა რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში რეაგირების სამართლებრივი ბერკეტები.

მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად:

- სასურველია, ორგანიზაციებმა შეიმუშაონ შიდა პოლიტიკის დოკუმენტები, რითაც განისაზღვრება მონაცემთა უსაფრთხოების საკითხები და არასანქცირებული წვდომის პრევენციის მექანიზმები;
- უზრუნველყონ დასაქმებული პირების ინფორმირება მონაცემთა უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით და საჭიროების შესაბამისად განსაზღვრონ მონაცემებთან მათი წვდომის დიფერენცირებული დონეები;
- თანამშრომლებს მონაცემთა ბაზებზე დაშვება მიანიჭონ მხოლოდ ინდივიდუალური მომხმარებლის სახელით/პაროლით ან/და გაპროფილირებული „დიჯიპასის“ მეშვეობით;
- აღრიცხონ მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა ქმედება, რათა შესაძლებელი იყოს კონკრეტულ ქმედებაზე პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება.

საქართველოს კანონმდებლობით საჯაროდ არის მიჩნეული ისეთი მონაცემთა ბაზები, რომელში დაცული ინფორმაციის მიმართაც არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი. შესაბამისად, უწყებები უზრუნველყოფენ მათ ხელმისაწვდომობას შესაბამის ვებგვერდებზე გამოქვეყნებით (მაგალითად, napr.gov.ge; voters.cec.gov.ge; declaration.gov.ge; privatization.ge და სხვა). ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ბაზების მარეგულირებელი კანონმდებლობა, როგორც წესი, არ ითვალისწინებს შეზღუდვას ბაზებში განთავსებული პერსონალური მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ვებგვერდების ტექნიკური ფუნქციონალიც ნაკლებად შეიცავს მონაცემთა მოპოვების შემზღუდავ მექანიზმებს.

საანგარიშო წლის განმავლობაში განხილული საქმეები და გამოკვლეული გარემოებები მიუთითებს, რომ დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის მონაცემთა გასაჯაროების მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების არსებობის მიუხედავად, პერსონალური მონაცემების ინტერნეტსივრცეში ხელმისაწვდომობა ხშირად გარკვეული უხერხულობის, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ზიანის მომტანია მონაცემთა სუბიექტებისთვის.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა კანონის საფუძველზე გასაჯაროებული არაერთი მონაცემთა ბაზა, მათ შორის:

ერთ-ერთი განცხადების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ www.privatization.ge-ზე შესაძლებელია სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებულ აუქციონში გამარჯვებული პირების სახელის, გვარისა და პირადი ნომრის მოძიება. ვინაიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ვადა არ არის განსაზღვრული, აუქციონში გამარჯვებულთა მონაცემები ქვეყნდება განუსაზღვრელი ვადით. ამასთან, ვებგვერდს არ გააჩნია საძიებო სისტემებისგან დაცვის ფუნქციონალი და ნებისმიერ საძიებო სისტემაში სუბიექტის სახელისა და გვარის მითითებით პირადი ნომრის მოპოვება მარტივად არის შესაძლებელი.

ეს ის შემთხვევაა, როცა მონაცემთა გასაჯაროების ლეგიტიმური საფუძველი არსებობს, თუმცა, კანონის თანახმად, აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვადის დადგენა პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს კომპეტენციას მიეკუთვნება. შესაბამისად, სააგენტოს დაევალა, შეეფასებინა და დაედგინა საჯაროობის, გამჭვირვალობისა და სხვა კანონიერი მიზნებით მონაცემების ხელმისაწვდომობის ვადა და მიეღო ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომელიც შეზღუდავდა განმცხადებლის პირადი ნომრის ინტერნეტსაძიებო სისტემაში მარტივად ხელმისაწვდომობას.

არაერთი მოქალაქე ინტერესდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრითა და უძრავი ქონების რეესტრით, მონაცემების ხელმისაწვდომობით. მოქმედი კანონმდებლობით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე ქვეყნდება უძრავი ქონების მესაკუთრის მონაცემები, კერძო ორგანიზაციის მესაკუთრის, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული პირების პერსონალური მონაცემები, ასევე ორგანიზაციის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, მათ შორის განცხადების წარმდგენი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. დადგინდა, რომ ერთ-ერთი არაკომერციული ორგანიზაცია სპეციალური ალგორითმის საშუალებით მოიპოვებს სააგენტოს ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემებს და რეესტრისგან განსხვავებული, შედარებით მარტივად ხელმისაწვდომი ფორმით ათავსებს ვებგვერდზე, ძეხვის პარამეტრებში პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით კი, ერთიანად არის შესაძლებელი მასთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის მიღება. napr.gov.ge-სგან განსხვავებით, ორგანიზაციის ვებგვერდს არ გააჩნია საძიებო სისტემების წვდომის შეზღუდვის ტექნიკური ფუნქციონალი და ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება ნებისმიერ საძიებო სისტემაში პირის სახელისა და გვარის მითითების შემთხვევაშიც. სააგენტოს მონაცემების კერძო ორგანიზაციის ვებგვერდზე განთავსების ნაწილში მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა არ

გამოვლინდა, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას და ვებგვერდზე გამჭვირვალობის მიზანს ემსახურება. თუმცა სააგენტოს მიეცა რეკომენდაცია, ზოგადად შეეფასებინა ვებგვერდზე განთავსებული მონაცემების ალგორითმული ხელმისაწვდომობის კრიტერიუმები და უსაფრთხოების საკითხები.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ვებგვერდზე ამომრჩეველთა ერთიანი სიის მონაცემების (ფოტოსურათის, რეგისტრაციის მისამართისა და მასთან ერთად ამავე მისამართზე რეგისტრირებული პირების შესახებ) სხვა მიზნებით გამოყენების არაერთი შემთხვევა. აღნიშნულ ბაზას აქტიურად იყენებენ ე.წ. სესხის ამომღები ორგანიზაციები და კერძო დეტექტივები. მართალია, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გადამონმებისთვის განკუთვნილ ვებგვერდზე მითითებულია, რომ: „ვებგვერდი განკუთვნილია მხოლოდ ამომრჩეველთათვის - საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადასამოწმებლად!“, თუმცა კანონმდებლობა არ შეიცავს დათქმას გამოქვეყნებული მონაცემების შემდგომი დამუშავების შეზღუდვის თაობაზე.

სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე - declaration.gov.ge ქვეყნდება თანამდებობის პირთა დეკლარაციები, რომლებიც ასევე მოიცავს თანამდებობის პირის ოჯახის წევრების ვინაობის, დასაქმების, შემოსავლების, საცხოვრებელი ადგილისა და საკუთრების შესახებ ინფორმაციას. ბიუროს ვებგვერდზე განთავსებულია 1998 წლიდან წარდგენილი დეკლარაციები, მათ შორის გარდაცვლილი და ყოფილი თანამდებობის პირების (რომელთაც ათეული წლის წინ დატოვეს საჯარო სამსახური). რამდენადაც თანამდებობის პირთა დეკლარაციების გასაჯაროების მიზანია საჯარო სამსახურში კორუფციასთან ბრძოლა, თანამდებობის პირთა უკანონო გამდიდრების შემთხვევებისა და ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენა, სასურველია, კანონ-

მდებლემბა იმსჯელონ, ლეგიტიმური მიზნებისთვის რამდენად აუცილებელია გარდაცვლილი და ყოფილი თანამდებობის პირების მონაცემების ინტერნეტსივრცეში განუსაზღვრელი ვადით ხელმისაწვდომობა. ბუნებრივია, აღნიშნულმა არ უნდა დააბრკოლოს, დაინტერესების შემთხვევაში, დეკლარაციების საჯარო ინფორმაციის სახით მიღების შესაძლებლობა. კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საჯარო სამსახურის ბიუროს შემომნებების პროცესში გამოიკვეთა, დეკლარანტის მიერ არაზუსტი მონაცემების გასწორების შესაძლებლობაა. ბიუროს დაევალა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შექმნას დეკლარაციაში ასახული უზუსტობის/არაზუსტი მონაცემების გასწორების მექანიზმი, განსაზღვროს თანამდებობის პირის იდენტიფიცირების წესი, ასევე, უზრუნველყოს დეკლარანტთა მკაფიო და ნათელი ინფორმირება დეკლარაციაში შესატანი მონაცემებისა და პაროლის განახლების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ მოქმედმა კანონმდებლობამ უპასუხოს პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების დაცვასთან დაკავშირებულ თანამედროვე გამოწვევებს და დაცული იყოს სამართლიანი ბალანსი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჯარო ინტერესსა და მონაცემთა სუბიექტების პირადი ცხოვრების დაცვის უფლებებს შორის. მიზანშეწონილია, მონაცემთა ბაზის საჯაროდ გამოქვეყნების შემთხვევაში კანონმდებლობით მკაფიოდ განისაზღვროს ლეგიტიმური მიზნებისთვის გამოსაქვეყნებელი პერსონალური მონაცემების მოცულობა, მათი მოძიების (მათ შორის, საძიებო სისტემების მეშვეობით) კრიტერიუმები, შემდგომი დამუშავების მიზნობრიობა და გამოქვეყნების ვადები.

არასრულწლოვანთა შესახებ მონაცემების დამუშავება

არასრულწლოვნების შესახებ ინფორმაციას განსაკუთრებული დაცვა სჭირდება. განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ სკოლებს, სადაც მოსწავლეების შესახებ მოცულობითი და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები ინახება, ვინაიდან ამ მონაცემების კანონის

დარღვევით დამუშავებამ, მით უფრო გამჟღავნებამ, შესაძლოა, გამოუსწორებელი ზეგავლენა მოახდინოს არასრულწლოვნის შემდგომ ცხოვრებაზე, შეზღუდოს მისი პირადი ცხოვრებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებები.

გასულ წელს მოქალაქეთა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მომართვის საფუძველზე ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა 8 საჯარო სკოლის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება და გამოვლინდა მონაცემთა კანონის დარღვევით დამუშავების არაერთი ფაქტი:

ინსპექტორის მიერ შესწავლილი ერთ-ერთი საქმე შეეხებოდა ძალადობის მსხვერპლ ბავშვს, რომლის მშობელსაც დამცავი ორდერის საფუძველზე აეკრძალა ბავშვთან კომუნიკაცია და მიახლოება. ბავშვი ცხოვრობდა თავშესაფარში და მას მზრუნველობას უწევდა სახელმწიფო. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი საცხოვრებელი ადგილის (ქალაქის) და სკოლის შეცვლა. მიუხედავად ამისა, მშობელმა შეიტყო მისამართი და გამოცხადდა სკოლაში. შესწავლის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლამ, სადაც თავდაპირველად სწავლობდა ბავშვი, ვერ უზრუნველყო მობილობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა. კერძოდ, სკოლამ არაუფლებამოსილ მასწავლებელს, ფოსტის სერვისცენტრში ჩასაბარებლად, დაულუქავი ფორმით გადასცა მოსწავლის დოკუმენტაცია. მოსწავლის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ მნიშვნელოვნად დააზიანა ბავშვის ინტერესები, საფრთხე შეუქმნა მის ფიზიკურ უსაფრთხოებას. სკოლა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად. ინსპექტორის დავალების საფუძველზე სკოლამ მიიღო სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, კერძოდ: გამართა შეხვედრა სკოლის ყველა თანამშრომელთან, მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; განამტკიცა კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი სკოლის შინაგანანესში; შეიძინა შესაბამისი კონვერტები და დაადგინა კორესპონდენციის კურიერის მეშვეობით და დახურული ფორმით გაგზავნის პროცედურა.

ერთ-ერთმა მშობელმა ინსპექტორს აცნობა, რომ საჯარო სკოლამ ყურნალისტს გადასცა მისი არასრულწლოვანი შვილის პერსონალური მონაცემების შემცველი განცხადება, რომელიც მოსწავლის თანაკლასელებთან კონფლიქტის შესახებ ინფორმაციას შეიცავდა. დადგინდა, რომ ყურნალისტს განცხადება გააცნო სკოლის დირექტორმა და ნება დართო, მისთვის ფოტო გადაეღო, ყურნალისტმა კი მიღებული მასალა სტატიის სახით გამოაქვეყნა. სკოლა ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, დაეკისრა ჯარიმა და მიეცა დავალებები შემდგომში დარღვევების პრევენციისთვის.

არასრულწლოვანი პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებისას:

- ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და მისი აზრი, ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მუდმივად უნდა იზრუნონ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებაზე;
- არასრულწლოვნის მონაცემების დამუშავებისას დარღვევათა პრევენციისა და მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია, ორგანიზაციამ აწარმოოს მონაცემთა დამუშავების პროცესის ჯეროვანი მონიტორინგი და მოახდინოს ადეკვატური რეაგირება გამოვლენილ დარღვევებზე.

საჯარო დაწესებულებაში არსებული პერსონალური მონაცემების მიღების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გარანტირებულია პირის უფლება - კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესი-

ულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად. პირის ამ უფლებას, მისი რეალიზების წესსა და პირობებს განამტკიცებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი. მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მის მიერ შერჩეული ფორმით და კანონით დადგენილ ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების მიზნით, კანონმდებელი შედარებით მაღალ სტანდარტს უწესებს საჯარო დაწესებულებებს. კერძოდ, მოთხოვნის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ უსასყიდლოდ გადასცეს მის შესახებ არსებული მონაცემების ასლებიც (გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური). მონაცემთა სუბიექტის სათანადოდ და გონივრულ ვადაში ინფორმირება პირდაპირ კავშირშია მონაცემთა სუბიექტის კანონით განსაზღვრული სხვა უფლებების რეალიზებასთან, მაგალითად, არასწორი/არაზუსტი მონაცემების წაშლის, გასწორებისა და გასაჩივრების უფლებასთან. ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიუღებლობამ შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს მოქალაქის ინტერესები.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო დაწესებულებებში მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების კუთხით გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები:

ინსპექტორს განცხადებით მომართა პირმა, რომელიც მიუთითებდა, რომ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან გამოითხოვა მისი მსჯავრდების საქმეზე წარმოებული სისხლის სამართლის საქმის ასლები. წერილის პასუხად განემარტა, რომ მოთხოვნილი საქმის მასალები დეპარტამენტში ინახებოდა 1 ტომად, დოკუმენტაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენდა 15.65 ლარს და მოქალაქეს დოკუმენტაცია გადაეცემოდა მხოლოდ მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის

შემდეგ. შესწავლის ფარგლებში დადგინდა, რომ მოქმედი კანონმდებლობა განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის გაცემაზე რაიმე ტიპის საფასურის გადახდას არ ითვალისწინებდა. მეტიც, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ მოსაკრებელი არ გადაიხდება ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მსჯავრდებულს ან/და მის ადვოკატს უფლება აქვს, უფასოდ მიიღოს იმ სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებებისა და მასალების დამონებული ასლები, რომელზედაც მიღებულია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ. აღსანიშნავია, რომ საჯარო დაწესებულებამ განცხადების განხილვის პროცესშივე აღმოფხვრა ხარვეზი და განმცხადებელს სრულყოფილად და საფასურის გადახდის გარეშე მიაწოდა მის მიერ მოთხოვნილი საქმის მასალა.

ინსპექტორს მომართა არასრულწლოვნის წარმომადგენელმა, რომელიც მიუთითებდა, რომ არასრულწლოვნის ინტერესების დაცვის მიზნით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან არაერთგზის გამოითხოვა არასრულწლოვნის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე განხორციელებული/გატარებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია, თუმცა სააგენტო აჭიანურებდა პასუხის გაცემას. განხილვის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სააგენტოში არასრულწლოვნის შესახებ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად დაცული იყო არასრულწლოვანის მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტზე შედგენილი გადაუდებელი რეაგირების ოქმი, რომელიც ასახავდა მონაცემთა სუბიექტზე სავარაუდო ძალადობასთან დაკავშირებულ გარემოებებსა და არასრულწლოვნის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციებს. სააგენტომ ინფორმირების ვადის დარღვევით განმცხადებელს მიაწოდა გარკვეული დოკუმენტაცია, თუმცა, მოთხოვნის მიუხედა-

ვად, არ გადასცა გადაუდებელი რეაგირების ოქმი. სააგენტომ არგუმენტად მიუთითა, რომ გადაუდებელი რეაგირების ოქმი იყო სააგენტოს შიდაუწყებრივი დოკუმენტი და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შიდაუწყებრივი დოკუმენტი მესამე პირს არ გადაეცემოდა. საქმის შესწავლისას დადგინდა, რომ გადაუდებელი რეაგირების ოქმის შინაარსის გათვალისწინებით, მის მიმართ პირდაპირი და უშუალო ინტერესი ჰქონდა არასრულწლოვნის წარმომადგენელს, რამდენადაც, სწორედ აღნიშნულ დოკუმენტში ფიქსირდებოდა სააგენტოს მიერ არასრულწლოვანზე სავარაუდო ძალადობასთან დაკავშირებით მყისიერად განხორციელებული ქმედებები და რეკომენდაციები. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს არასრულწლოვნის მშობლის ან/და წარმომადგენლის დაშვებას სავარაუდო ძალადობასთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან. დაწესებულება ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. მასვე დაევალა ღონისძიებების გატარება ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტების სრულყოფილი და დროული ინფორმირების მიზნით.

გარდა აღნიშნული შემთხვევებისა, ინსპექტორმა განიხილა არაერთი მოქალაქის განცხადება, რომელიც შეეხებოდა საჯარო დაწესებულებების მხრიდან მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების კანონით დადგენილი ვადის დარღვევას. გარკვეულ შემთხვევებში, საჯარო დაწესებულებები კანონმდებლობით დადგენილი 10-დღიანი ვადის მნიშვნელოვანი გადაცილებით აწვდიდნენ სუბიექტებს მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რის მიზეზადაც მიუთითებდნენ დაწესებულების თანამშრომლების გადატვირთულ გრაფიკს და იმ გარემოებას, რომ 10 დღე შესაძლოა არ იყოს საკმარისი სრულყოფილი ინფორმაციის გასაცემად. ინსპექტორის გადაწყვეტილებით, შესაბამის საჯარო დაწესებულებებს დაევალა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს სუბიექტის უფლებების დროულ და ეფექტიან რეალიზებას.

თითოეულმა საჯარო დაწესებულებამ თავისი მუშაობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლის მეშ-

ვეობითაც უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტაციის სრულყოფილად და კანონით განსაზღვრულ ვადებში მინოდებას. ასეთ ღონისძიებას შესაძლოა წარმოადგენდეს პერსონალური მონაცემების გამოთხოვის/გაცემის წესის ან/და მონაცემთა სუბიექტების სათანადოდ ინფორმირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა.

მონაწილეობა სამართალშემოქმედებით საქმიანობაში

გასულ წელს აპარატი აქტიურად მონაწილეობდა სამართალშემოქმედებით პროცესში და თანამშრომლობდა, როგორც საკანონმდებლო, ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოსთან. აპარატის თანამშრომლები მონაწილეობდნენ სამუშაო შეხვედრების, საკომიტეტო თუ სხვა ფორმატის განხილვებში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, აპარატმა 40 საკანონმდებლო პაკეტთან დაკავშირებით წარადგინა მოსაზრებები და შეისწავლა სხვადასხვა სამართლებრივი სფეროს მომწესრიგებელი 100-ზე მეტი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტი. აღნიშნული პროექტები შეეხებოდა: საგანმანათლებლო, ფინანსურ, აუდიტორულ, საარქივო, საარჩევნო და სხვა საქმიანობას; ჯანმრთელობის დაცვას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ელექტრონულ კომუნიკაციებს, არასრულწლოვნებთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მათ შორის, აღსანიშნავია:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტი „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“. EHR სისტემის მიზანია, დადგენილი წესით, ავტორიზებული პირებისგან შეაგროვოს,

შეინახოს, გაზიარებადი გახადოს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერები და ამით ხელი შეუწყოს უწყვეტი, ეფექტიანი, პაციენტზე ორიენტირებული და ხარისხიანი, ინტეგრირებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებას. სისტემაში აისახება პაციენტის შესახებ დეტალური ინფორმაცია: ცხოვრების ანამნეზი, განუული სამედიცინო მომსახურებების, გადატანილი დაავადებების, პაციენტის ჰოსპიტალიზაციისა და ამბულატორიული ვიზიტის დროს შეგროვებული ინფორმაცია.

მონაცემთა პროპორციული დამუშავების, უსაფრთხოების დაცვისა და მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის პრევენციის უზრუნველსაყოფად სამინისტროს მიეცა რეკომენდაციები მკაფიოდ გაემიჯნა სისტემაზე წვდომის დონეები, განესაზღვრა მონაცემების წაშლის/გასწორების პროცედურები, უსაფრთხოების დეტალური ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები და მათ მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები.

საანგარიშო პერიოდში აქტუალური იყო სხვადასხვა უწყების მხრიდან არასრულწლოვანი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი გარანტიების სპეციალური რეგლამენტაციის საკითხი. ბავშვის საუკეთესო ინტერესების პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში გათვალისწინების აუცილებლობაზე მიუთითებს ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაცია, რომელიც მონაცემთა დამმუშავებლებს ავალდებულებს, მომეტებული ყურადღებით მოეკიდონ ბავშვის მონაცემების დამუშავებას და აღნიშნულ პროცესში უპირატესად გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

საანგარიშო პერიოდში აპარატმა შეისწავლა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ წარმოდგენილი ბრძანების პროექტები „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს შორის კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლის წესის დამტკიცების შესახებ“. აპარატმა, ერთი მხრივ, გაიზიარა სამინისტროების პოზიცია, საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გასაუმჯობესებლად შესაბამის უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და სხვადასხვა პრევენციული ღონისძიების დაგეგმვის საჭიროების შესახებ, მეორე მხრივ, არასრულწლოვანთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლების, საუკეთესო ინტერესებისა და პირადი ცხოვრების დაცვის უზრუნველსაყოფად, უწყებებს მიანოდა რეკომენდაციები დასამუშავებელი მონაცემების მოცულობის მინიმუმზაციასა და დამუშავების მიზნების კონკრეტიზებასთან დაკავშირებით.

ამომრეველთა პერსონალური მონაცემების დამუშავება

4



ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დამუშავება

ბოლო 2 წელია, პერსონალური მონაცემების დაცვა საარჩევნო პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას წარმოადგენს. ამომრჩეველთა სიები საარჩევნო უბნებთან, არჩევნებში მონაწილეთა პირადი ინფორმაციის დამუშავება უშუალოდ საარჩევნო უბნებზე, საარჩევნო სუბიექტების მიერ მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა და საარჩევნო სუბიექტების შემწირველთა ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება - ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია, რომლებზეც ინსპექტორის აპარატმა 2018 წლის განმავლობაში იმუშავა.

ამომრჩეველთა ერთიანი სია და სამაგიდო სიები

არჩევნების დღეს ამომრჩეველთა მონაცემების დამუშავება ჯერ კიდევ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე გახდა აქტუალური. მედიასაშუალებებმა და დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გააფრცხლეს ინფორმაცია, რომ საარჩევნო უბნებზე მყოფი პარტიების წარმომადგენლები ან სხვა დამკვირვებლები სამაგიდო სიებიდან იწერდნენ არჩევნებზე გამოცხადებული ამომრჩევლების რეგისტრაციის ნომრებს ან იღებდნენ საარჩევნო სიის ფოტოებს. აღნიშნული ინფორმაციის უბნის გარეთ გამოკრულ სიებში გადამონმებით კი, ჰქონდათ შესაძლებლობა, დაეგინათ უბანზე მისული ამომრჩევლის სახელი, გვარი და მისამართი. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა არჩევნების დღესვე გააკეთა განცხადება, არჩევნებიდან 2 დღეში დაიწყო საკითხის შესწავლა და დაასრულა 2018 წლის პირველ ნახევარში.

კანონმდებლობის შესაბამისად, საარჩევნო პროცესში წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს მინიჭებული აქვთ სრულად საარჩევნო პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობა, მათ შორის სასურველი ინფორმაციის შეგროვების უფლება, ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე საჩივრის წარდგენის მიზნით. საარჩევნო პროცესში დამკვირვებლისთვის ფართო უფლებამოსილების მინიჭება გამომდინარეობს მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესიდან და ემსახურება საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ მიზნებს, თუმცა საარჩევნო პროცესის დემოკრატიულად წარმართვისათვის არსებითია, რომ უზრუნველყოფილი იყოს ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა.

2017 წლის ოქტომბრის არჩევნების პერიოდში არ არსებობდა სამართლებრივი აქტი, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა საარჩევნო პროცესში დამკვირვებლის მიერ პერსონალური მონაცემების აღრიცხვის შესაძლებლობა, კონკრეტული წესი და პირობები. ინსპექტორის გადაწყვეტილებით, საარჩევნო ადმინისტრაციას დაევალა, შეეფასებინა და დაედგინა, რა სახის პერსონალური ინფორმაციის აღრიცხვის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს დამკვირვებელს და ასევე განესაზღვრა ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფდა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების მხრიდან ლეგიტიმური მიზნის ადეკვატური და პროპორციული მოცულობით პერსონალური მონაცემების დამუშავებას და ამომრჩეველთა ნების კონტროლის შესაძლო საფრთხეების პრევენციას.

საგულისხმოა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ გაითვალისწინა ინსპექტორის დავალება და საანგარიშო პერიოდში საქართველოს ორგანულ კანონში - „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შევიდა შესაბამისი ცვლილებები, რომლითაც დარეგულირდა როგორც კენჭისყრის შენობაში ფოტო-ვიდეოგადაღების წესები, ასევე შეიზღუდა ისეთი მონაცემების სხვაგვარი დამუშავება, რომლებიც, კანონის შესაბამისად, არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.

შედეგად, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამკვირვებელთა მიერ უშუალოდ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა მონაცემების შეგროვება აქტუალური აღარ გამხდარა, თუმცა ამომრჩეველთა მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით კითხვები სხვა კუთხით გაჩნდა.

კერძოდ, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დღეს მედიასაშუალებებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების კოორდინატორებს საარჩევნო უბნებთან ხელთ ჰქონდათ ამომრჩეველთა ფოტოსურათებიანი სიები. გამოითქვა ეჭვი, რომ საქმე ეხებოდა ე.წ. სამაგიდო სიებს, რომლებიც უკანონოდ იყო მოპოვებული.

ინსპექტორის აპარატმა საკითხის შესწავლის ფარგლებში საარჩევნო ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციით გაარკვია, რომ 2018 წელს ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფოტოსურათებიანი ვერსია საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში 11 სუბიექტს, მათ შორის, 6 პოლიტიკურ გაერთიანებას და 5 დამკვირვებელ ორგანიზაციას გადაეცა.

იმას, თუ ვის აქვს ამომრჩეველთა ერთიანი ფოტოსურათებიანი სიის კანონიერად მოპოვების უფლება, მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, რეგისტრაციის მქონე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, კანონით განსაზღვრულ დამკვირვებელ ორგანიზაციას, ამომრჩეველს უფლება აქვთ, გაეცნონ ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა. ამასთან, ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ფოტოსურათებიანი ვერსია დასახელებულ პირებს გადაეცემათ მხოლოდ ელექტრონული სახით. უფლებამოსილმა პირმა სიის მისაღებად შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს სათანადო მოცულობის მქონე ინფორმაციის ელექტრომატარებელი, ხოლო ელექტრონული სახით გადაცემული მონაცემების შემდგომი დამუშავება, მაგ. დაჯგუფება, საარჩევნო უბნის თუ სხვა კონკრეტული ნიშნით თავისუფლად არის შესაძლებელი.



„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის არსებობასთან ერთად მნიშვნელოვნად მიიჩნევს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებისა და უსაფრთხოების წესების დაცვასაც, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ „საქართველო“

ველოს საარჩევნო კოდექსი“ დასახელებული პირების მხრიდან ამომრჩეველთა ერთიანი სიის მოპოვების შესაძლებლობასთან ერთად არ ადგენს სიის გამოყენების წესებსა და აკრძალვებს. აუცილებელია, აღნიშნული საკითხი დარეგულირდეს ნორმატიულ დონეზე, მათ შორის, განისაზღვროს არჩევნებამდე პერიოდში და უშუალოდ არჩევნების დღეს მონაცემების დამუშავების კანონიერი მიზნები და ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიმღებთა მხრიდან პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიღების ვალდებულებები.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ, კანონმდებლობის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიანი სიის გამჟღავნება ხდება ცესკოს ვებგვერდზე - <https://voters.cec.gov.ge>, რომელზეც პირადი ნომრისა და გვარის მითითების და ე.წ. „მე არ ვარ რობოტი reCAPTCHA“ უსაფრთხოების ველის მონიშვნის შემდეგ დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი ხდება ამომრჩევლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, სახელი, გვარი, ფოტოსურათი, დაბადების თარიღი და მისამართი. ვებგვერდზე მითითებულია, რომ ის განკუთვნილია მხოლოდ ამომრჩეველთათვის - საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადასამოწმებლად, თუმცა საგულისხმოა, ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდასთან ერთად მითითებული უსაფრთხოების მექანიზმი შესაძლოა, არ აღმოჩნდეს საკმარისი ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავებისგან სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ამ კუთხით კიდევ ერთხელ შეფასდეს მოქმედი რეგულაციები და გამოწვევები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით გატარდეს შესაბამისი სამართლებრივი და პრაქტიკული ღონისძიებები საარჩევნო პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის სტანდარტებისა და უსაფრთხოების ზომების მისაღებად, არაპროპორციული მოცულობით და არაუფლებამოსილი პირების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პრევენციისთვის.

საარჩევნო ოლქებში პერსონალური მონაცემების დამუშავება

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიებს გადაეცემათ ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების როგორც კომისიის, ასევე საჯარო გაცნობისთვის განკუთვნილი ვერსიები, რომლის საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია, შეადგინოს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები. ვინაიდან ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო გაცნობისთვის განკუთ-

ვნილი ვერსია არ შეიცავს პირად ნომერს, შესაბამისად, მისგან ნაწარმოები გადასატანი საარჩევნო ყუთის სია, რომელიც შემდგომ თავსდება კენჭისყრის შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით, ასევე არ უნდა შეიცავდეს ამომრჩეველთა პირად ნომრებს.

საანგარიშო პერიოდში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს შეტყობინებით მომართა ერთ-ერთმა ჟურნალისტმა, რომლის განმარტებით, ქ. ოზურგეთისა და ქ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების გარკვეულ საარჩევნო უბნებზე არსებულ კედლებზე განთავსებული იყო გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები, რომლებიც ამომრჩევლის სახელისა და გვარის გარდა, ასევე შეიცავდა მათ პირად ნომრებს. აპარატმა შემოწმების ფარგლებში დაადგინა, რომ საარჩევნო უბნებზე გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები (რომლებიც ამომრჩევლის სახელისა და გვარის გარდა, ასევე შეიცავდა მათ პირად ნომრებს) განთავსებული იყო კენჭისყრის შენობებში მესამე პირებისათვის ხელმისაწვდომი ფორმით. საარჩევნო ადმინისტრაციის განმარტებით, საუბნო საარჩევნო კომისიებში კენჭისყრის შენობის შიდა კედლებზე გაკრულ, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვან ამომრჩეველთა სიებში შეცდომით მიუთითეს ამომრჩეველთა პირადი ნომრები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინსპექტორის გადანყვეტილებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ამომრჩეველთა პირადი ნომრების გამჟღავნება მიჩნეულ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევად.

საარჩევნო შემოწმების ფარგლებში ფინანსური დავალიანების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

2018 წლის ოქტომბერში ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთ კლინიკაში დასაქმებულმა პირებმა პრეზიდენტობის კანდიდატს საარჩევნო შემოწმებულების სახით გარკვეული ფულადი სახსრები გადაურიცხეს. სატელევიზიო არხის საშუალებით, ასევე, გავრცელდა ინფორმაცია შემწირველი პირების ფინანსური მდგომარეობის, მათ შორის, საკრედიტო ისტორიების, სესხის რაოდენობისა და სხვა დეტალების შესახებ. ინფორმაციის მოპოვების წყარო მედიასაშუალებას არ დაუსახელებია.

მოქმედი კანონმდებლობით, პარტიის/საარჩევნო სუბიექტის საფინანსო დეკლარაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია (მათ შორის,

შემონირულების წყარო, ოდენობა და მიღების თარიღი) ღია ყველა დაინტერესებული პირისთვის, თუმცა ამავდროულად დადგენილია, რომ შემონირულების განხორციელებისას საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს მხოლოდ პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და რეგისტრაციის ადგილის შესახებ ინფორმაცია და ის არ მოიცავს ფინანსური მდგომარეობისა და დავალიანებების შესახებ არსებული მონაცემების ხელმისაწვდომობას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ თუ ეჭვქვეშ დგას შემონირულობის კანონიერება, რეაგირება წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილებას.

იმის გათვალისწინებით, რომ სს „კრედიტინფო საქართველო“ წარმოადგენს საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის მფლობელ საკრედიტო ბიუროს, სატელევიზიო ეთერში გასულ სიუჟეტში მოხსენიებულ პირთა პერსონალური მონაცემების შემცველ ინფორმაციაზე წვდომისა და გამჟღავნების კანონიერების შესწავლის მიზნით ინსპექტორის ინიციატივით დაიწყო სს „კრედიტინფო საქართველო“ შემოწმება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შემწირველი პირების საკრედიტო ისტორია „კრედიტინფო საქართველო“ ბაზაში შესაბამისი დროის მონაკვეთში გადამოწმებული ჰქონდა ერთ-ერთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას. შემწირველი პირები არ წარმოადგენდნენ აღნიშნული მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მომხმარებლებს, არასდროს განუცხადებიათ თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით და მათთვის უცნობი იყო, თუ რა მიზნითა და რომელი სამართლებრივი საფუძვლით გადაამოწმა მათი საკრედიტო ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შემოწმების ფარგლებში „კრედიტინფო საქართველო“ ბაზაში პერსონალური მონაცემების გადამოწმების ფაქტი დაადასტურა, თუმცა განმარტა, რომ ეს ქმედებები არ შეესაბამებოდა კომპანიის საქმიანობის მიზნებს, არ ყოფილა შეთანხმებული მენეჯმენტთან და წარმოადგენდა მხოლოდ ცალკეული თანამშრომლის კერძო ინიციატივას.

კომპანიის განმარტებით, მენეჯმენტთან შეუთანხმებელი ქმედებების, ასევე, კომპანიის მიერ დადგენილი პროცედურების დარღვევისთვის ორი თანამშრომელი თანამდებობებიდან გაათავისუფლეს.

სატელეფონო კომუნიკაცია ამომრჩეველთან

საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში კვლავ აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა საარჩევნო სუბიექტების მიერ ამომრჩეველებთან მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ განხილულ შემთხვევებში საარჩევნო სუბიექტებს მოკლე ტექსტური შეტყობინებების დაგზავნისას მონაცემებზე უშუალო წვდომა არ ჰქონდათ და შეტყობინებები იგზავნებოდა შუამავალი კომპანიების მეშვეობით (მათთან წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე), ამასთან შეიცავდა კანონით გათვალისწინებულ უარის თქმის მექანიზმს, აღნიშნული მეთოდით მოქალაქეებთან კომუნიკაცია ხშირად მათი მონაცემების მოპოვების კანონიერებაზე ეჭვებს აჩენდა.

მოქალაქეთა შეტყობინებებით ასევე დადგინდა, რომ მათ უკავშირდებოდნენ სხვადასხვა სატელეფონო ნომრიდან და ვინაობის/ორგანიზაციის დასახელების, წარდგენის გარეშე ეკითხებოდნენ, იყვნენ თუ არა არჩევნებზე. საკითხის შესწავლის ფარგლებში დადგინდა, რომ ერთ-ერთი ა(ა)იპ-ის წევრები შერჩევითად უკავშირდებოდნენ მოქალაქეებს (ძირითადად, ნაცნობებსა და მეგობრებს), არჩევნებზე მოსახლეობის აქტივობის დადგენის მიზნით, თუმცა პერსონალური მონაცემების დამუშავება, მათ შორის, პოლიტიკური შეხედულების შესახებ ინფორმაციისა და სატელეფონო ნომრების შენახვა არ მომხდარა.

ყველა საარჩევნო სუბიექტი თუ დამკვირვებელი ორგანიზაცია, რომელიც საარჩევნო პერიოდში უშუალოდ მოქალაქეებისგან აგროვებს პერსონალურ მონაცემებს, კანონით ვალდებულია, წინასწარ განუმარტოს მათ მონაცემების დამუშავების მიზანი იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს ინფორმირებული განწყვეტილების მიღება. საარჩევნო პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა, რადგან პირის პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებული მონაცემები განსაკუთრებულ კატეგორიას მიეკუთვნება და მათ დასაცავად მოქმედებს უფრო მაღალი სტანდარტი.

შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტები თუ დამკვირვებელი ორგანიზაციები, რომლებიც სატელეფონო გამოკითხვის გზით ამუშავებენ ამომრჩეველთა პერსონალურ მონაცემებს, ვალდებული არიან, მიაწოდონ მათ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, ვინ და რა მიზნით აგროვებს მონაცემებს და როგორ გეგმავს მომავალში მათ გამოყენებას.

ამასთან, მათ უნდა აღრიცხონ მონაცემების მოპოვების წყარო, განსაზღვრონ, რა სახის მონაცემების შეგროვებაა საჭირო შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღ-

წევად და შეიმუშაონ შესაბამისი წესები, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მათი სახელით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების რისკს.

თავის მხრივ, მნიშვნელოვანია, მსგავს შემთხვევებში მოქალაქემ გაითვალისწინოს, რომ არ არის ვალდებული, გასცეს მონაცემები. მხოლოდ მისი არჩევანია, მიანვდის თუ არა ვინმეს თავის შესახებ ინფორმაციას და რა მოცულობით.

5

სამართალდამცავი ორბანოების მიერ მონაცემთა დაზუსტება



ფოტო: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივიდან


სამართალდაცავი ორგანოების მიერ მონაცემთა დამუშავება

სამართალდაცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავება, ხშირად წარმოადგენს რა ჩარევას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითა და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრების უფლებაში, უნდა ეფუძნებოდეს კანონს, ჰქონდეს ლეგიტიმური მიზანი და წარმოადგენდეს აუცილებელ ზომას დემოკრატიულ საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია, სამართალდაცავი ორგანოების მიერ მონაცემთა შეგროვება, შენახვა და სხვაგვარი გამოყენება განხორციელდეს კანონიერი და მკაფიო მიზნების შესაბამისად და ისეთი პრინციპების დაცვით, როგორცაა სამართლიანობა და პროპორციულობა. ამასთან, აუცილებელია მონაცემთა სიზუსტის, ნამდვილობისა და მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ზოგადი პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაც. სამართალდაცავი ორგანოების მიერ აღნიშნულ მოთხოვნათა დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც სხვა საჯარო დაწესებულებებისგან განსხვავებით, კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილებების ფარგლებში მათ აქვთ როგორც ღია, ასევე ფარული წყაროებიდან მონაცემთა მოპოვებისა და სხვაგვარი დამუშავების შესაძლებლობა, რაც, თავის მხრივ, ზრდის მონაცემთა არამიზნობრივი და საჭიროზე მეტი მოცულობით დამუშავების რისკს.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა 42 მოქალაქის განცხადებების განხილვისა და 20 ინსპექტირების ფარგლებში სამართალდაცავ ორგანოთა მიერ სხვადასხვა მიზნით მონაცემთა დამუშავების 70-მდე პროცესი შეისწავლა. მათ შორის, 21 შემთხვევაში - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, 10 - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს/საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის, 8 - საქართველოს მთავარი პროკურატურის, 4 შემთხვევაში - სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერება. დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო ან შემდგომი რეაგირების მიზნით 7 საქმე გადაიგზავნა შესაბამის სამართალდაცავ უწყებებში. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ინსპექტორის აპარატმა მონაცემთა დამუშავების კანონიერება შეისწავლა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლით განსაზღვრულ ყველა საგამოძიებო ორგანოსთან მიმართებით.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ 39 სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით 5 შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ჯარიმა, 2 შემთხვევაში — გაფრთხილება, 13 შემთხვევაში კი პასუხისმგებლობის დაკისრება ვერ მოხდა, კანონმდებლობით განსაზღვრული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესის გაუმჯობესების მიზნით სამართალდაცავ ორგანოებს მიეცათ შესასრულებლად სავალდებულო 30 დავალება და 9 რეკომენდაცია, დამატებით გაეწიათ 140-ზე მეტი წერილობითი და ზეპირი კონსულტაცია, მომზადდა არაერთი დასკვნა და რეკომენდაცია სამართალდაცავ ორგანოთა საქმიანობასთან დაკავშირებულ კანონპროექტებსა და ნორმატიული აქტის პროექტებზე.

2018 წელს ინსპექტორმა სამართალდამცავ
ორგანოთა მიერ მონაცემთა დამუშავების
70-მდე პროცესი შეისწავლა. მათ შორის:




გასულ წლებთან შედარებით 2018 წელს საგრძნობლად შემცირებულია სამართალდამცავ სექტორში გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მომართვიანობა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეომეთვალყურეობის გზით ან სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობისას მონაცემების დამუშავების ფაქტებთან მიმართებით, რაც, თავის მხრივ, მეტყველებს ამ სფეროში საკანონმდებლო ცვლილებებისა და უწყების მხრიდან გატარებული ზომების ეფექტზე. გაზრდილია სამართალდამცველების მხრიდან ინსპექტორის აპარატთან წინასწარი კონსულტაციების ინტერესიც.

თუმცა, დადებითი ტენდენციების პარალელურად, კვლავ არსებობს საკითხები, რომლებიც დამატებით ძალისხმევას საჭიროებს სამართალდამცავ სექტორში მონაცემთა დაცვის სტანდარტის გაუმჯობესების თვალსაზრისით. ასეთ საკითხებს მიეკუთვნება - ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებულ მონაცემთა არამიზნობრივი და შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გადამონმება, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე მოპოვება და გამჟღავნება, პრინციპის დარღვევით შენახვა, მონაცემთა სუბიექტის არაჯეროვანი ინფორმირება, ინსპექტორისთვის შეტყობინების ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა დამუშავების წესების დაცვა იმ ფონზე, როდესაც სულ უფრო იზრდება სამართალდამცველი ორგანოების ინტერესი, ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა ტიპისა და კატეგორიის მონაცემებზე. მაგალითად, 2018 წელს გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიენიჭა ისეთ მონაცემებზე წვდომის უფლებამოსილება, როგორცაა სესხის გამცემი სუბიექტის მიერ ფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მიღებული მოძრავი ნივთების აღრიცხვის სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში დაცული მონაცემები და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მოპო-

სამართალდამცავი სექტორი
2018 წელი



ვებული მონაცემები. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის კუთხით არსებული გამოწვევების ფონზე მონაცემებზე წვდომა შესაძლოა, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყოს კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად განსახორციელებლად, თუმცა ამავე დროს აუცილებელია, სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვა.

საგამოძიებო მიზნით კომპიუტერული მონაცემების მოპოვება

გასულ წლებთან შედარებით არსებითად შემცირებულია კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში მონაცემთა კანონიერი საფუძვლის გარეშე დამუშავების შემთხვევები, თუმცა 2018 წელსაც გამოვლინდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან მოსამართლის განჩინებისა და პროკურორის დადგენილების გარეშე კერძო კომპანიის კომპიუტერულ სისტემაში არსებული ვიდეოჩანაწერის დათვალიერების, კონკრეტული მონაკვეთის ფოტოგადაღებისა და კომუნიკაციის არხით გადაგზავნის ფაქტი. რამდენიმე შემთხვევაში კი კერძო კომპანიებმა ინსპექტორის აპარატთან დაკავშირებით და აპარატის მხრიდან მყისიერი რეაგირების შედეგად დარღვევა თავიდან აიცილეს. ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედება შესაძლოა ჩატარდეს მხოლოდ მოსამართლის განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორის დადგენილებით, სამართალდამცავ ორგანოთა ყველა ქმედება, რომე-

ლიც საკანონმდებლო რეგულირების დარღვევით განხორციელდა, მიჩნეულ იქნა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავება და გამოყენებული იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა.

კომპიუტერული მონაცემების მოპოვების მხრივ დარღვევების შემცირების დადებითი ტენდენცია შესაძლოა, განპირობებული იყოს როგორც თავად გამომძიებლებისა და ოპერატიული მუშაკების, ასევე კერძო ორგანიზაციების ინფორმირებულობის დონის ამაღლებით. გაზრდილია კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვასთან დაკავშირებით კონსულტაციის მიღების მიზნით ინსპექტორის აპარატისთვის მომართვების რაოდენობაც. კომპიუტერული მონაცემების მოპოვებასთან დაკავშირებული დარღვევების სრულად აღმოსაფხვრელად ინსპექტორის მხრიდან რეაგირების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია უწყებების მხრიდან მონიტორინგი და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში მონაცემებზე წვდომა და მონაცემთა უსაფრთხოება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონმდებლობით დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ეფექტიანად განსახორციელებლად შექმნილი აქვს ცენტრალური საინფორმაციო ბანკი, სადაც თავს იყრის საკმაოდ მოცულობითი, მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის, მონაცემები.

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ინსპექტორმა შეისწავლა მონაცემებზე წვდომის კანონიერების რამდენიმე შემთხვევა და შედეგად გამოავლინა არასამსახურებრივი მიზნით წვდომისა და კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე მონაცემთა დამუშავების ცალკეული შემთხვევები.

ინსპექტორის მიმართვის საფუძველზე ჩატარებული სამსახურებრივი მოკვლევის შედეგად სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაადგინა, რომ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემები გადაამოწმა არასამსახურებრივი მიზნით, რაც მკაცრ დისციპლინურ გადაცდომად მიიჩნის და თანამშრომელი გათავისუფლდა სამსახურიდან.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარებული ღონისძიებებიც. სამართლებრივი აქტებითა და პრაქტიკაში არსებული მექანიზმებით სამინისტროს დანერგული აქვს შემდეგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები: ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებულ მონაცემზე სამინისტროს თანამშრომლები დაიშვებიან სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა დასაბუთებული წერილობითი მიმართვის საფუძველზე, გაპიროვნებული მომხმარებლის სახელის, პაროლისა და ერთ-

ჯერადი რიცხვითი პაროლის გენერირების მოწყობილობის (DIGIPASS) საშუალებით. ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება ექვემდებარება აღრიცხვას, რაც შესაძლებელს ხდის როგორც წვდომის განმარტოვებული სამინისტროს თანამშრომლის ვინაობის, ასევე მის მიერ მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა ქმედების დადგენას. სამინისტროს თანამშრომლებს ეკრძალებათ ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემების მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება არასამსახურებრივი მიზნით, აღნიშნულის კონტროლის ვალდებულება კი ეკისრებათ როგორც სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნურო დაწესებულებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს, ასევე, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტსა და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტს). ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემების არასამსახურებრივი მიზნით დამუშავება წარმოშობს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის ზომების ან/და მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას. შესწავლის შედეგად, ცენტრალურ საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემების უსაფრთხოების მიზნით გატარებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად იქნა მიჩნეული.

თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის დანერგული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები წარმოადგენს კომპლექსურ ღონისძიებათა ერთობლიობას და მათი ადეკვატურობა და ეფექტიანობა ფასდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის გარემოებების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის შედეგად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვის ერთიან საინფორმაციო ბანკში მონაცემთა შენახვის ვადა

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ქმნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვის ერთიან საინფორმაციო ბანკს, რომელიც აერთიანებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენილ/საქმის განმხილველი ორგანოების მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმებისა და დადგენილებების თაობაზე სამინისტროსთვის მიწოდებულ დეტალურ ინფორმაციას, ელექტრონული სახით. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ერთიან საინფორმაციო ბანკში მონაცემები მუდმივად ინახებოდა, თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2017 წლის 9 თებერვლის №1/2/622 გადაწყვეტილებით, ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი მოქალაქის მიმართვის საფუძველზე ინსპექტორმა იმსჯელა ერთიან საინფორმაციო ბანკში (ელექტრონული ფორმით) პირისთვის 2007 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მონაცემების მუდმივად შენახვის

საკითხზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ერთიან საინფორმაციო ბანკში არსებული მონაცემების შენახვის ვადების განსაზღვრაზე სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა, თუმცა ჯერ არ დასრულებულა შესაბამისი ნორმატიული აქტის დამტკიცების ან მასში ცვლილებების შეტანის პროცესი.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქმის განხილვის მომენტისთვის მიღწეული იყო ერთიან საინფორმაციო ბანკში კონკრეტული მოქალაქისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მონაცემების შენახვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული მიზანი. ამავე საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია, რომ როგორც საერთაშორისო სტანდარტების, ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება, შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების არსებობისას მოითხოვოს წარსულში განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებული ინფორმაციის წაშლა, საზოგადოების მხრიდან მისი მუდმივად ან პერიოდულად სტიგმატიზების თავიდან არიდებისა და პირადი ცხოვრების ავტონომიურ რეჟიმში განსაზღვრის მიზნით. შესაბამისად, აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან (კერძოდ, 2017 წლის 09 თებერვლიდან) სამინისტროს ერთიან საინფორმაციო ბანკში განმცხადებლის 2007 წლის 31 ოქტომბერს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მონაცემების შენახვა ინსპექტორის მიერ შეფასდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე და ამავე კანონით გათვალისწინებული პრინციპის დარღვევით მონაცემთა დამუშავებად. შესაბამისად, სამინისტროს დაევალა კონკრეტული მონაცემთა სუბიექტის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ მონაცემების ერთიანი საინფორმაციო ბანკიდან წაშლა ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვა.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში მონაცემთა დამუშავება

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს რიგი საპოლიციო, მათ შორის, პრევენციული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობას. კანონის თანახმად, ასეთ ღონისძიებებს მიეკუთვნება: პირის გამოკითხვა; პირის იდენტიფიკაცია; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; ავტომატური ფოტოტექნიკისა (რადარის) და ვიდეოტექნიკის გამოყენება და სხვა. ინსპექტორის აპარატმა როგორც საანგარიშო პერიოდში, ასევე გასულ წლებში შეისწავლა საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში პირთა პერსონალური მონაცემების სხვადასხვა ფორმით დამუშავების არაერთი შემთხვევა, მათ შორის მობილური ტელეფონით ვიდეოგადაღების, ფოტოსურათით პირის იდენტიფიკაციისა და მონაცემთა ბაზაში გადამონების ფაქტები.

რამდენადაც აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების წესისა და დეტალური ინსტრუქციის არარსებობის პირობებში მაღალია პრევენციულ ღონისძიებას დაქვემდებარებული პირის პერსონალური მონაცემების არამიზნობრივი და კანონის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების რისკი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია, განესაზღვრა პრევენციული ღონისძიების გატარებისას ფოტოსურათით პირის იდენტიფიკაციის/მონაცემთა ბაზაში გადამონების წესი და შეეფასებინა ამ ღონისძიების ჩატარებისათვის თანამშრომლის სარგებლობაში არსებული მობილური ტელეფონისა და ინფორმაციის გადაცემის საშუალებების გამოყენების მიზანშეწონილობა. სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობს მუშაობა აპლიკაციის დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს საპოლიციო თუ გადაუდებელ დახმარებას მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტიანად, ხელს შეუწყობს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას, სამართალდარღვევის ფაქტის დამადასტურებელი მასალის საპოლიციო დანაყოფებისთვის მიწოდების ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომლის ერთ-ერთი მიზანიც ფოტოსურათით პირის იდენტიფიკაციის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების გათვალისწინებითა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვით განხორციელებაა.

ცხადია, მისასალმებელია სამინისტროს მხრიდან ინსპექტორის რეკომენდაციის შესრულების კუთხით გადადგმული ნაბიჯები, თუმცა დამატებით, მნიშვნელოვანია, უშუალოდ პრევენციული ღონისძიების გატარებისას ფოტოსურათით პირის იდენტიფიკაციის/მონაცემთა ბაზაში გადამონების კონკრეტული და დეტალური წესის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს ამ მიმართულებით ერთიანი სტანდარტის დამკვიდრებას და მინიმუმამდე შეამცირებს პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების კანონის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების რისკს.

საანგარიშო პერიოდში ასევე აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა საპოლიციო პრევენციული ღონისძიების ფარგლებში მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირება. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული პრევენციული ღონისძიების (პირის გამოკითხვა) ფარგლებში პოლიციელი უფლებამოსილია, მონაცემები მოიპოვოს უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისაგან. ამასთან, კანონის თანახმად, მონაცემთა სუბიექტის მხრიდან მონაცემების მიწოდება ნებაყოფლობითია. აღნიშნულ პროცესში როგორც პრევენციული ღონისძიების მიზნების მიღწევის, ასევე მონაცემების დამუშავების კანონიერების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, მოქალაქეს სათანადოდ განემარტოს მონაცემთა შეგროვების მიზანი, სავალდებულოა თუ არა მონაცემების მიწოდება და რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მონაცემების მიუწოდებლობას. ინფორმირებულობა საშუალებას აძლევს მოქალაქეს, დაიცვას თავისი უფლებები და არ გაუჩნდეს განცდა, რომ მისი მონაცემები არამართლზომიერად მუშავდება. ერთ-ერთი მოქალაქის განცხადების განხილვის ფარგლებში გამოვლინდა მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირების უტყუარი დადასტურების პრობლემაც. სამინისტროს მიეცა რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ გამოსაკითხი პირის ჯეროვანი ინფორმირების მტკიცებულებების არსებობას, ხოლო მეორე მხრივ, მოქალაქეთა კანონით გარანტირებული უფლების რეალიზებას.

მონაცემთა გამჟღავნება და გასაჯაროება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მონაცემთა გამჟღავნება/გასაჯაროება. რამდენადაც მონაცემთა დამუშავების აღნიშნული ფორმა შეიცავს მომეტებულ საფრთხეს, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მოქალაქის ინტერესებს, არსებითად მნიშვნელოვანია, განხორციელდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას და პრინციპების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნების რამდენიმე ფაქტი, მათ შორის, ვიდეოჩანანერებისა და განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის სამართალდამცავ ორგანოთა ვებგვერდებზე გასაჯაროება და მედია საშუალებებისთვის გამჟღავნება.

2018 წელს ინსპექტორის ინიციატივით შესწავლილ ერთ-ერთ შემთხვევაში გარდაცვლილი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ვებგვერდზე გასაჯაროებისას გამოყენებული დეპერსონალიზაციის ფორმა არასაკმარისად იქნა მიჩნეული, ვინაიდან მედიასაშუალებების მიერ მანამდე გასაჯაროებული ინფორმაცია განსაკუთრებული ძალისხმევით გარეშე იძლეოდა პირის არაპირდაპირი იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ინსპექტორის გადაწყვეტილებით, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაცია ნაიშალა ვებგვერდიდან.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილი ერთ-ერთი განცხადება შეეხებოდა მშობლებისთვის შემაკავებელი ორდერის გადაცემითა და შემაკავებელი ორდერის ოქმის ასლის გაცნობის გზით შვილის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. სამინისტროს განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ მონაცემთა სუბიექტი სამინისტროში წარდგენილ რამდენიმე განცხადებაში აღნიშნავდა, რომ არ სურდა თავისი ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის მშობლებისათვის გამჟღავნება, სამინისტროს თანამშრომელმა გააცნო მას შესაძლო ღონისძიებების სახეები და ზეპირსიტყვიერად განუმარტა, რომ ორდერის გამოცემის შემთხვევაში მოძალადეებისათვის ცნობილი გახდებოდა მსხვერპლის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი. განმცხადებელს ასევე განემარტა, რომ მოძალადეების მის საცხოვრებელ სახლთან მიახლოებისთანავე საქმეში ჩაერთვებოდა საპატრულო პოლიცია და აღკვეთდა საფრთხეს. სამინისტროს განმარტებით, სწორედ აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ მოანერგა ხელი მონაცემთა სუბიექტმა ორდერს.

თავის მხრივ, განმცხადებელი მიუთითებდა, რომ სამინისტროს თანამშრომლებს მისთვის არ განუმარტავთ შემაკავებელი ორდერის შინაარსი და მიუხედავად

იმისა, რომ ხელი მოანერგა ორდერს, არც კი შეუნიშნავს, რომ მასში ასახული იყო ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი. განმცხადებელი ასევე განმარტავდა, რომ მშობელთა მხრიდან დევნის გამო იმყოფებოდა ალელვებულ მდგომარეობაში და არ ჰქონდა შესაძლებლობა, სრულად გაეაზრებინა ყველა პროცესუალური დეტალი, რომელიც პოლიციის თანამშრომლებმა განახორციელეს.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მსგავს შემთხვევებში მსხვერპლი შესაძლოა იყოს ალელვებული და სათანადოდ ვერ აღიქვამდეს მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, მნიშვნელოვანია, არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მსხვერპლისათვის მიწოდებული ინფორმაციის სიცხადეს, მისი ნების თავისუფალ გამოვლენასა და მტკიცებულების შექმნას მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირების თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტროს მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია. ინსპექტორის რეკომენდაციის შესრულების მიზნით სამინისტრომ შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს დაუგზავნა მითითება, რომლითაც მათ დაევალებათ, მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის მიზნით კანონით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებისას უზრუნველყონ მოძალადეებისათვის გასამჟღავნებელი მონაცემების მოცულობის შეფასება და მონაცემთა გამჟღავნების მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ მსხვერპლის/მონაცემთა სუბიექტის სათანადო ინფორმირება.

მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის უფლება ითვალისწინებს საჯარო დანესებულებათა, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოთა, ვალდებულებას, მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებული მონაცემების თაობაზე. მონაცემთა სუბიექტს ასევე აქვს მისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის ასლების მოთხოვნის უფლება. მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების ეფექტიანი რეალიზება არსებითია, რამდენადაც აღნიშნული მას აძლევს შესაძლებლობას, იცოდეს, რა სახის მონაცემები მუშავდება მის შესახებ და რამდენად კანონიერად. საგულისხმოა, რომ სამართალდამცავ ორგანოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა, არსებობდეს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების უფლების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვის წინაპირობა, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს სამართლიანი ბალანსის დაცვას, ერთი მხრივ, მონაცემთა სუბიექტის უფლებას - მიიღოს მასთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ, სამართალდამცავი ორგანოს კანონიერ ინტერესს შორის - უზრუნველყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

საანგარიშო პერიოდში, მოქალაქეთა მომართვების საფუძველზე, ინსპექტორმა შეისწავლა საქართველოს მთავარი პროკურატურის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სპე-

ციალური პენიტენციური სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების კანონიერება. აღსანიშნავია, რომ სამართალდამცავ ორგანოთა მხრიდან მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შესრულების მხრივ დადებითი ტენდენციები შეინიშნება. 2018 წელს კანონით დადგენილი ვადის დარღვევისა და მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის არასრულყოფილი სახით გაცემის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა.

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ სუბიექტის მიერ წარდგენილი მოთხოვნა ხშირად ობიექტურად არ იძლეოდა გასაცემი ინფორმაციის/დოკუმენტაციის იდენტიფიცირებისა და მოძიების შესაძლებლობას. კანონით გარანტირებული ინფორმირების უფლების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია, უწყებებმა დროულად მიანოდონ მოქალაქეებს მოთხოვნაში მითითებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის ის ნაწილი, რომლის იდენტიფიცირებაც შესაძლებელია და იმავდროულად, აცნობონ სხვა დოკუმენტაციის მიწოდების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ უწყება არ ამუშავებს მის შესახებ ინფორმაციას ან არ ინახავს კონკრეტულ დოკუმენტს, ნათლად და მკაფიოდ განუმარტოს აღნიშნულის თაობაზე. რაც შეეხება მონაცემთა სუბიექტის მიერ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის ასლების გამოთხოვის საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღნიშნული დოკუმენტაციის ასლების გაცემის კონკრეტულ ვადას, მნიშვნელოვანია, ისინი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში გაიცეს.

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი არასრულწლოვნის განცხადების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვანი და მისი წარმომადგენელი საქართველოს მთავარი პროკურატურისგან მოითხოვდნენ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში არასრულწლოვნისთვის ჩატარებული ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის გადაცემას, თუმცა, ვინაიდან მონაცემთა სუბიექტი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმის მხარეს და, შესაბამისად, არ ჰქონდა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის უფლება, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ არ მიიჩნია მიზანშეწონილად მისთვის მისი პერსონალური მონაცემების შემცველი ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის გადაცემა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საქმეში სახეზე იყო მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების უფლების შეზღუდვის წინაპირობა, ინსპექტორმა მიიჩნია, რომ აუცილებელი იყო შეზღუდვის ზომის პროპორციულობის საკითხის შეფასება და საქართველოს მთავარ პროკურატურას მიეცა რეკომენდაცია, საქმის ინდივიდუალური გარემოებებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შეეფასებინა ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ნაწილობრივ გადაცემის ან განმცხადებლის სხვა ფორმით ინფორმირების შესაძლებლობა.

ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ინსპექტორისთვის მინიჭებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს ფარულ საგამოძიებო მოქმედებებზე ზედამხედველობა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი.

2018 წლის განმავლობაში ინსპექტორის აპარატი უწყვეტ რეჟიმში აკვირდებოდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების პროცესს. ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში წინა წლებთან შედარებით სტატისტიკურად მნიშვნელოვნად გაზრდილია ფარული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობა, თუმცა საგულისხმოა, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებები უმეტესად ხორციელდება მოსამართლის განჩინების საფუძველზე და საკმაოდ შემცირებულია მოსამართლის განჩინების გარეშე, პროკურორის დადგენილებით ამ სახის ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყება/ჩატარების რაოდენობა.

წინა წლების მსგავსად საანგარიშო პერიოდშიც ყველაზე დიდი რაოდენობით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ხოლო ყველაზე ნაკლები რაოდენობით განხორციელდა ინტერნეტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების შესახებ საგამოძიებო მოქმედებები. საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა ისეთი საგამოძიებო მოქმედება, როგორცაა საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი.

2018 წელს აპარატში შემოვიდა მოსამართლის 1397 განჩინება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩანერის დაწყების, გაგრძელების, დაკანონების, ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და უარის შესახებ.

შეჩერების მექანიზმი გამოყენებულ იქნა 96 განჩინების/დადგენილების შემთხვევაში. შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედებები გაგრძელდა.

კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით უფლებამოსილ ორგანოს ეცნობა 9 განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის თაობაზე, რის შემდეგაც განჩინებაში არსებული ხარვეზები აღმოიფხვრა.

სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩანერასთან დაკავშირებული ერთი საქმე, დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

საანგარიშო პერიოდში აპარატში შემოვიდა მოსამართლის 1397 განჩინება სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩანერის დაწყების, გაგრძელების, დაკანონების, ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და უარის შესახებ. სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის შესახებ გაცემული ნებართვების რაოდენობის ზრდასთან ერთად, ასევე გაზრდილია ნებართვის გაცემაზე უარის თქმის, ფარული საგამოძიებო მოქმედების ვადის გაგრძელებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე შესაბამისი პირისთვის შეტყობინების გადავადებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლის განჩინებათა რაოდენობა.

2017 წელს, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიენიჭა უფლებამოსილება, შეაჩეროს სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩანერის მიმდინარეობა, თუ აპარატში წარმოდგენილი არ არის მოსამართლის განჩინება ან პროკურორის დადგენილება ელექტრონული ან/და მატერიალური (დოკუმენტური) სახით ან, თუ ელექტრონული და მატერიალური სახით წარმოდგენილი პროკურორის დადგენილების მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა, ან/და შეიცავს ბუნდოვანება-უზუსტობას. 2018 წელს შეჩერების მექანიზმი გამოყენებულ იქნა 96 განჩინების/დადგენილების შემთხვევაში. შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემდეგ ფარული საგამოძიებო მოქმედებები გაგრძელდა. დამატებით, კონტროლის ელექტრონული სისტემის მეშვეობით უფლებამოსილ ორგანოს ეცნობა 9 განჩინებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობის თაობაზე, რის შემდეგაც განჩინებაში არსებული ხარვეზები აღმოიფხვრა. სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩანერასთან დაკავშირებული ერთი საქმე, დანაშაულის ნიშნების არსებობის გამო, საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა.

2018 წელს ინსპექტორის აპარატში შეისწავლა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁶-ე მუხლის მე-14 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების - ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე ოქმის ინსპექტორის აპარატში წარმოდგენის საკითხები, რამდენადაც, გარკვეულ შემთხვევებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, საქართველოს პროკურატურასა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ინსპექტორის აპარატში არ წარმოუდგენია შესაბამისი ოქმი. რიგ შემთხვევაში ოქმის წარმოუდგენლობა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა, რიგ შემთხვევებში კი უწყებებმა უზრუნველყვეს შესაბამისი ოქმების ინსპექტორის აპარატში წარმოდგენა.

რაც შეეხება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 35¹-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებულ შემონიშნებებს, საგულისხმოა, რომ 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა სსიპ „ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს“ ორი ინსპექტირება, ასევე, დასრულდა 2017 წელს დაწყებული ორი ინსპექტირება. შესწავლილ იქნა როგორც სააგენტოს მიერ კომუნიკაციის რეალურ დროში მოპოვების ნახევრად სტაციონალური ტექნიკური შესაძლებლობის გამოყენებით ფარული საგამოძიებო მოქმედების - სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადებისა და ჩანერისას პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება, ასევე, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ

მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების შედეგად მონაცემთა დამუშავების კანონიერება. საანგარიშო პერიოდში ასევე შემონიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და უსაფრთხოების სამსახური, ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁹-ე მუხლი ითვალისწინებს საქართველოს პროკურატურის ვალდებულებას, ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების, ამ მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შინაარსისა და აღნიშნული მასალის განადგურების შესახებ ინფორმაცია მიანოდოს იმ პირს, რომლის მიმართაც ჩატარდა ფარული საგამოძიებო მოქმედება. 2018 წელს ინსპექტორის ინიციატივით შემონიშნა საქართველოს პროკურატურა, აღნიშნული ვალდებულების შესრულების შესწავლის მიზნით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იდენტიფიცირებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143¹-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ის ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რომლებთან დაკავშირებითაც მონაცემთა სუბიექტის შეტყობინების ვალდებულება წარმოიშვა 2018 წლის 01 იანვრიდან. შემონიშნების შედეგად გამოვლინდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პრინციპისა და მონაცემთა უსაფრთხოების წესების დარღვევის რამდენიმე ფაქტი. ამასთან, საქართველოს პროკურატურას მიეცა შესასრულებლად სავალდებულო დავალებები, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁹-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის ჯეროვანი ინფორმირების უზრუნველყოფისთვის.

ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებალი მონაცემების დამუშავება

საანგარიშო პერიოდში შესწავლილ იქნა ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კანონდარღვევით გადაცემისა და ინსპექტორის ინფორმირების ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის 6 ფაქტი. ერთ-ერთი შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავ ორგანოს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიაში არ წარუდგენია განჩინება, რომელიც ითვალისწინებდა კონკრეტულად ამ კომპანიიდან ინფორმაციის გამოთხოვის ნებართვას, კომპანიამ მაინც გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. გამოვლინდა სამართალდამცავი ორგანოსთვის ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების მხოლოდ წერილის საფუძველზე, მოსამართლის განჩინებისა და პროკურორის დადგენილების გარეშე გადაცემის ერთი ფაქტი.

6

მონაცემთა დამუშავება კერძო სექტორში



მონაცემთა დამუშავება კერძო სექტორში

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა მოქალაქეთა განცხადებების განხილვისა და ინსპექტირების შედეგად კერძო სექტორში მონაცემთა დამუშავების 355 შემთხვევა შეისწავლა. მათ შორის იყო: 60 — სავაჭრო და მომსახურების გამწვევი, 40 — მარკეტინგული, 35 — ე.წ. სესხის ამომღები, 21 — ელექტრონული კომუნიკაციის, 21 — სამედიცინო, სადაზღვევო და ფარმაცევტული კომპანია. 30 შემთხვევაში საქმე ეხებოდა ბანკებს, 19 შემთხვევაში — მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, 15-ში — ონლაინსერვისების მიმწოდებელს, 12-ში — სს „კრედიტინფო საქართველოს“. ინსპექტორის აპარატმა ასევე შეისწავლა 10 სასტუმროს, 8 აზარტული თამაშების კომპანიის, 8 კერძო უნივერსიტეტისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მონაცემთა დამუშავების პროცესის კანონიერება.


2018 წლის განმავლობაში კერძო სექტორში გამოვლინდა სამართალდარღვევის 196 ფაქტი, ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმა დაეკისრა 61, ხოლო გაფრთხილება მიეცა 54 მონაცემთა დამმუშავებელს. 2135-მდე გაიზრდა კერძო ორგანიზაციებისთვის განეული კონსულტაციების რაოდენობა. ბევრი ორგანიზაცია ცდილობს, მონაცემთა დამუშავების პროცესის დაგეგმვამდე მიიღოს კონსულტაცია ინსპექტორის აპარატისგან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რისკის შემცირებას, დარღვევების პრევენციას და მიუთითებს კერძო სექტორში პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხისადმი ინტერესის ზრდაზე. წლის მეორე ნახევარში მსხვილი ორგანიზაციებისთვის აქტუალურობა შეიძინა ევროკავშირის ახალმა რეგულაციამ, რომელიც ითარგმნა და ხელმისაწვდომი გახდა ინსპექტორის აპარატის ვებგვერდის საშუალებით.

მონაცემთა დამუშავების საკითხებზე ცნობიერებისა და ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით ჩატარდა ათეულობით სამუშაო შეხვედრა და ტრენინგი კერძო სექტორის 500-მდე წარმომადგენელის მონაწილეობით, მათ შორის ჯანდაცვის სექტორის, მცირე და საშუალო ბიზნესის, საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისთვის. მომზადდა ორი სექტორული რეკომენდაცია ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დაცვისა და მონაცემთა დაცვის ევროპული რეგულაციის შესახებ.

2018 წელს კვლავ აქტუალური იყო მონაცემთა ბაზებზე წვდომის კანონიერებისა და მონაცემთა შენახვის ვადების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ინსპექტორის დავალებით არაერთმა ე.წ. სესხის ამომღებმა კომპანიამ განსაზღვრა მონაცემთა დამუშავების შიდა პროცედურა, მოქალაქეები კვლავ მიუთითებდნენ მათი მონაცემების არაუფლებამოსილი პირებისთვის გამჟღავნების ფაქტებზე. საანგარიშო პერიოდში წინა წლებთან შედარებით იმატა ფიზიკური პირების მიერ ვიდეოთვალთვალის თაობაზე შემოსული განცხადებების რაოდენობამაც.

წინამდებარე თავში მაგალითების სახით განხილულია გამოვლენილი დარღვევები, მათზე რეაგირების შედეგები და მოცემულია რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მომავალში სამართალდარღვევის ჩადენის ალბათობას და ხელს შეუწყობს კერძო სექტორში მონაცემთა დაცვის სტანდარტების ამაღლებას.

2018 წელს ინსპექტორმა კერძო სექტორში
მონაცემთა დაშვების 355 შემთხვევა შეისწავლა



- სავაჭრო და მომსახურების გამწვევი კომპანიები
- მარკეტინგული კომპანიები
- ე.წ. სესხის ამომღები კომპანიები
- ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიები
- სამედიცინო, სადაზღვევო, ფარმაცევტული კომპანიები
- ბანკები
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები
- ონლაინსერვისების მიმწოდებელი კომპანიები
- სს „კრედიტინფო საქართველო“
- სასტუმროები
- აზარტული თამაშების კომპანიები
- კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები

მონაცემთა ბაზები

საჯარო დაწესებულების მსგავსად, დიდი მოცულობით მონაცემების დამუშავება გამოწვევას წარმოადგენს კერძო სექტორში. ამავდროულად, თანამედროვე ბიზნესის წარმართვა წარმოუდგენელია მონაცემთა ბაზების გამოყენების გარეშე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია საბანკო-საფინანსო სექტორში, სადაც ასეულობით, ათასობით პირის ფინანსური მდგომარეობისა და ტრანზაქციის შესახებ მონაცემი მუშავდება. 2018 წელს ინსპექტორმა შეისწავლა საფინანსო სექტორის მიერ მონაცემთა დამუშავების 96 შემთხვევა. მათგან ბანკების მიერ მონაცემთა დამუშავების — 30, ე.წ. სესხის ამომღები კომპანიების — 35, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების — 19 და სს „კრედიტინფო საქართველო“- 12 შემთხვევა.

კერძო სექტორში მოქალაქეთა ფინანსური მონაცემების ერთ-ერთ მსხვილ დამუშავებელს წარმოადგენს საკრედიტო ბიურო სს „კრედიტინფო საქართველო“, რამდენადაც სწორედ მის მონაცემთა ბაზებში აისახება ინფორმაცია ფიზიკური პირების საკრედიტო ისტორიის თაობაზე. გასული წლების, ისევე როგორც საანგარიშო წლის, განმავლობაში საკრედიტო ბიუროს საქმიანობა არ იყო ნორმატიულად მონესრიგებული და მონაცემები მუშავდებოდა კერძო სუბიექტებს (სს „კრედიტინფო საქართველო“ და მისი მომხმარებლები) შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ კანონმდებლობაში შესული/გატარებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს ეროვნულ ბანკს მიენიჭა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილება. ამასთან, ინსპექტორის რეკომენდაციების გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე ნორმატიულად დარეგულირდა საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვისა და ხელმისაწვდომობის წესი, რომელიც ამოქმედდა 2019 წლის 01 იანვრიდან.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაზე ორგანიზაციის დაშვების წესი და მისი ვალდებულება, მონაცემთა ბაზაზე წვდომა მიანიჭოს მხოლოდ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სამსახურებრივად აქვთ უფლებამოსილება, დაამუშაონ საკრედიტო ინფორმაცია. მონაცემებზე წვდომის მიზნად განისაზღვრა მხოლოდ პირის გადამხდელუნარიანობის შეფასება. მიღებული რეგულაციის თანახმად, საკრედიტო მონაცემებზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, ამავდროულად, დადგინდა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე ინფორმაციის გადამონების პირობები და ვადები. როგორც საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, ასევე, ბიუროს მონაცემთა ბაზით მოსარგებლე ორგანიზაციებს დაევალიათ ისეთი პოლიტიკა-პროცედურების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს პირის შესახებ საკრედიტო ინფორმაციის სათანადო დამუშავებას. ხაზგასასმელია, რომ ბრძანებით დადგინდა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ვალდებულება, შემთხვევითობის პრინციპით და გონივრული პერიოდულობით უზრუნველყოს პირის შესახებ საკრედიტო ინფორმაციის დამუშავების საფუძვლის გადამონება, რაც მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია. გარდა ზემოაღნიშნულისა, ბრძანებით განისაზღვრა როგორც საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, ასევე ბიუროს ბაზაზე დაშვების მქონე ორგანიზაციების ვალდებულებები მონაცემთა სუბიექტების შესახებ ზუსტი და განახლებული მონაცემების დამუშავების კუთხით, რაც საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა.

როგორც წესი, საბანკო-საფინანსო დაწესებულებების მონაცემთა ბაზებზე ყოველდღიური წვდომა აქვს ათასობით დასაქმებულს, რაც ზრდის მონაცემებზე უკანონო წვდომის საფრთხეს.


საანგარიშო პერიოდში ინსპექტორს მომართა პირმა, რომელმაც მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მასსა და ერთ-ერთ საბანკო დანესებულებაში დასაქმებული პირის ოჯახის წევრს შორის მიმდინარე დავისას, მონინაალმდეგე მხარემ გაახმაურა დეტალური ინფორმაცია განმცხადებლის ანგარიშებიდან კონკრეტული ტრანზაქციების შესახებ და სასამართლოს წინაშე დააყენა საბანკო დანესებულებიდან საბანკო ამონაწერის გამოთხოვის შუამდგომლობა. განმცხადებელი ვარაუდობდა, რომ მონინაალმდეგე მხარისათვის მის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ სწორედ ბანკში დასაქმებული პირის მეშვეობით გახდა ცნობილი.

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საბანკო დანესებულებაში დასაქმებულმა არაერთგზის გადაამონმა განმცხადებლის შესახებ ბანკში დაცული ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ მონაცემებზე წვდომის მომენტისთვის განმცხადებელს დახურული ჰქონდა ბანკში არსებული ყველა ანგარიში. გამოვლენილი გარემოებების მიუხედავად, ბანკმა არ დაადასტურა უკანონო წვდომის ფაქტი, არ გაატარა დამატებითი ღონისძიებები სავარაუდოდ დარღვევის ფაქტის აღმოსაჩენად და განმარტა, რომ განმცხადებლის დახურულ ანგარიშებზე წვდომის საფუძველი იყო განმცხადებელთან გაფორმებული და კვლავ მოქმედი ხელშეკრულება, ხოლო წვდომის მიზანს წარმოადგენდა განმცხადებლის გადახდისუნარიანობის დადგენა და მისთვის საკრედიტო პროდუქტის შეთავაზება. ბანკმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დასაბუთება, რაც დაადასტურებდა გადახდისუნარიანობის შემოწმების მიზნით დახურული ანგარიშების შესახებ ინფორმაციის გადამოწმების საჭიროებას და განმცხადებლისთვის საკრედიტო პროდუქტის შეთავაზების ფაქტს. ინსპექტორის განაწყვეტილებით, დადგინდა, რომ ბანკმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე და 44-ე მუხლების დარღვევით გადაამონმა განმცხადებლის დახურული ანგარიშების შესახებ მონაცემები, თუმცა სანქცია ვერ დაეკისრა ხანდაზმულობის გამო. მონაცემთა დამუშავების კანონიერების უზრუნველყოფის მიზნით საბანკო დანესებულებას დაევალა, განესაზღვრა პირის გადახდისუნარიანობის დადგენის მიზნით მონაცემთა დამუშავების წესი.

მნიშვნელოვანია მონაცემთა დამუშავებელმა ორგანიზაციებმა:

- შეიმუშაონ შესაბამისი ინსტრუქცია/პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების წესსა და პირობებს;
- დასაქმებულ პირებს გააცნონ მონაცემთა ბაზებზე წვდომის წესი, უკანონო წვდომის თანმდევი შედეგები და მუდმივ რეჟიმში განახორციელონ მონიტორინგი მონაცემთა დამუშავების პროცესზე;
- მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, მიიღონ შესაბამისი დისციპლინური ზომები დამრღვევი პირების მიმართ.

**2018 წელი
ქართო საქტორი**



მონაცემთა შენახვის ვალა

მონაცემთა ბაზებში მოცულობითი ინფორმაციის მოპოვებისა და გამოყენების პარალელურად, მონაცემთა დამუშავებლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ დაცული ინფორმაციის შენახვის ვალდებულებას და მონაცემების შენახვას აგრძელებენ მას შემდეგაც, როდესაც მიღწეულია ან აღარ არსებობს მონაცემთა დამუშავების მიზანი.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორმა ჩაატარა 10 სასტუმროს ინსპექტირება. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მომხმარებლის თანხმობით ან/და კანონმდებლობით დაკისრებული მიზნებისთვის, სასტუმროები მოიპოვებენ და ინახავენ მომხმარებლების შესახებ საკმაოდ მოცულობით მონაცემებს, თუმცა არ აქვთ განსაზღვრული მომხმარებლის მონაცემების შენახვის ვალა. გარდა ამისა, შემოწმებული სასტუმროების ნაწილში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები მონაცემთა უსაფრთხოების კუთხითაც. სასტუმროების ნაწილს არ ჰქონდა განსაზღვრული მომხმარებლის მონაცემებზე დაშვების წესი და ორგანიზაციის პროგრამულ უზრუნველყოფაში არ აღირიცხებოდა, ვის და როდის ჰქონდა წვდომა ამა თუ იმ მომხმარებლის მონაცემებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასტუმროებს დაევალოთ, მიეღონ ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების უსაფრთხოების დასაცავად და მოქმედი კანონის შესაბამისად, მონაცემთა შენახვის გონივრული ვადის განსაზღვრად.

შრომითი ურთიერთობისას მონაცემთა დამუშავება

პირადი ცხოვრება დაცულია არამართლზომიერი ჩარევისაგან, მათ შორის, დამსაქმებლის მხრიდან. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს, დამსაქმებელს არ შეუძლია პირადი სოციალური ცხოვრების ნულამდე დაყვანა სამსახურებრივ სივრცეში. პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება მაინც განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, დამსაქმებლის მიერ აკრძალულია კონკრეტული მოქმედება თუ არა.

დამსაქმებლები, როგორც წესი, იყენებენ სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ მექანიზმს დასაქმებულთა ქცევის კონტროლისთვის. ბუნებრივია, სამუშაოს ეფექტიანი შესრულების, დისციპლინური გადაცდომის პრევენციისა თუ გამოვლენის მიზნით დამსაქმებლებს აქვთ დასაქმებულების მონიტორინგის ლეგიტიმური ინტერესი, თუმცა ეს შესაძლებლობა შეზღუდულია კანონმდებლობით, დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული კანონიერი მიზნით და ადეკვატური მოცულობით. შესაბამისად, აუცილებელია სამართლიანი ბალანსის დაცვა დასაქმებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასა და დამსაქმებლის კანონიერ ინტერესებს შორის. მნიშვნელოვანია, დამსაქმებელმა გაითვალისწინოს, რომ დასაქმებულს პირადი ცხოვრების დაცვის უფლება უნარჩუნდება სამუშაო დროსაც და პირადი ცხოვრების უზრუნველყოფა მოითხოვს მის წინასწარ ინფორმირებას სავარაუდო მონიტორინგის ფორმისა და მასშტაბის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორმა დამსაქმებლების მიერ დასაქმებულების პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების დარღვევის რამდენიმე ფაქტი გამოავლინა.

ინსპექტორმა შეისწავლა ერთ-ერთი ბანკის მიერ დასაქმებულის საბანკო ტრანზაქციების მონიტორინგის ფაქტი. გაირკვა, რომ ბანკში დანერგილი იყო მონაცემთა ავტომატური დამუშავების პროგრამული საშუალება, რომელიც ავლენდა ბანკის თანამშრომლების მიერ აზარტული დაწესებულებების სასარგებლოდ (კაზინო, ტოტალიზატორი და სხვა) როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დროს განხორციელებულ ტრანზაქციებს. მონაცემების დეტალურად გაცნობის შემდგომ კი ბანკი იღებდა გადაწყვეტილებას თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ. მონიტორინგის აუცილებლობას ბანკი ამართლებდა იმით, რომ აზარტული თამაშები იწვევს დამოკიდებულებას.

შრომითი ხელშეკრულებითა და ბანკის შინაგანანგისით, დასაქმებულს მიენოდა ზოგადი ინფორმაცია მონიტორინგის თაობაზე, თუმცა მას არ ჰქონია წარმოდგენა მონიტორინგის კონკრეტული ფორმის (ავტომატური პროგრამის მეშვეობით) და მასშტაბის (მონიტორინგის პერიოდი და მონაცემების მოცულობა) შესახებ. ამასთან, ბანკმა გადაამოწმა დასაქმებულის მიერ არასამუშაო დროს განხორციელებული ტრანზაქციის შესახებ ინფორმაცია, რა დროსაც პირი, როგორც ბანკის კლიენტი, არასამსახურებრივი მიზნით და საშუალებებით სარგებლობდა საბანკო მომსახურებით და სხვა კლიენტების მსგავსად ჰქონდა პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი. ბანკმა ვერ გაითვალისწინა ისიც, რომ პირი შესაძლოა, ერთჯერადად, რაიმე ფორმით ყოფილიყო დაკავშირებული აზარტული თამაშის მომწყობთან, თუმცა არ ყოფილიყო თამაშებზე დამოკიდებული ან ტრანზაქცია არა უშუალოდ დასაქმებულის, არამედ სხვა პირის ვალდებულების დაფარვას ემსახურებოდა.

აღწერილ შემთხვევაში, მონაცემების ამ ფორმით დამუშავება ბანკის მიერ დასახელებული მიზნების მისაღწევად არ იქნა მიჩნეული გამართლებულ და ადეკვატურ საშუალებად. ბანკი ცნობილ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდამრღვევად.

ინსპექტორს მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ დამსაქმებელმა ორგანიზაციამ მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ბრძანება განათავსა ადმინისტრაციულ შენობაში საჯაროდ ხელმისაწვდომ სტენდზე. საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ორგანიზაცია კონკრეტული საჭიროების გარეშე, სტენდზე სისტემატურად ასაჯაროებდა მასთან დასაქმებული პირებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, წახალისების (მათ შორის, პრემიის გაცემის), მათი დანიშვნა/გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებებს.

დამსაქმებელი ცნობილ იქნა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირად და არასწორი პრაქტიკის შეცვლის მიზნით, დაევალა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინება.

შრომითი ურთიერთობის ფარგლებში დასაქმებული პირების მონაცემების დამუშავებისას დამსაქმებელი ვალდებულია:

- დასაქმებულის ქცევის მონიტორინგის ლეგიტიმური ინტერესის არსებობისას, გაითვალისწინოს და პატივი სცეს დასაქმებულის პირად ცხოვრებას და წინასწარ მიანოდოს მას ინფორმაცია მონიტორინგის ფორმასა და მასშტაბზე;
- არ დაუშვას დასაქმებულის სამსახურებრივი საქმიანობის, მათ შორის, მისი კარიერული წინსვლის თუ ჩადენილი გადაცდომების შესახებ ინფორმაციის კონკრეტული საჭიროების გარეშე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა.

პერსონალური მონაცემების დაცვა ჯანდასრულის სექტორში

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემია, რომელიც შეიცავს სენსიტიურ დეტალებს ადამიანის პირადი ცხოვრების, მისი ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. ამდენად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონო ან შემთხვევითი გამჟღავნება, უსაფრთხოების ზომების დაუცველობა შესაძლოა, გახდეს პირის ღირსების შელახვის, სტიგმატიზაციის ან დისკრიმინაციის საფუძველი. მნიშვნელოვანია, სამედიცინო დაწესებულებისთვის მიმართვისას პირს ჰქონდეს გაცნობა და ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა დაცული იქნება, რადგან არასაკმარისი ნდობის პირობებში, შესაძლოა, თავი შეიკავოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებისგან ან აუცილებელი სამედიცინო მომსახურების მიღებისგან.

ინსპექტორის აპარატი აქტიურად მუშაობს როგორც კლინიკებთან, ასევე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან. ინდივიდუალურ რეჟიმში განეული კონსულტაციების პარალელურად, შემუშავდა სექტორზე მორგებული სპეციალური რეკომენდაციებიც. მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი დარღვევები და ნაკლოვანებები ცხადყოფს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებისას კვლავ არსებობს გამოწვევები. მაგალითად, გამოვლინდა პაციენტის წერილობითი თანხმობისა და კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისის გარეშე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემის ფაქტები.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომლისთვისაც ცნობილი გახდა, რომ მისმა შვილმა ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულები-სგან მოიპოვა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტი (ფორმა №100) და მის წინააღმდეგ მტკიცებულების სახით გამოიყენა სასამართლო დავაში. შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ დოკუმენტი სამედიცინო დაწესებულებამ განმცხადებლის შვილს განმცხადებლის თანხმობის გარეშე, მხოლოდ ზეპირსიტყვიერი მიმართვის საფუძველზე მიანოდა და არ მოუთხოვია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

საქმის შესწავლისას დამატებით გამოვლინდა, რომ სამედიცინო დაწესებულება არ აღრიცხავდა პაციენტების პერსონალური მონაცემების გამჟღავნებასთან დაკავშირებულ მოქმედებებს.

გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და მათი უსაფრთხოების გარანტიების შექმნის მიზნით, სამედიცინო დაწესებულებამ ინსპექტორის დავალების შესაბამისად შეიმუშავა დაწესებულებაში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი, რომლითაც მოწესრიგდა პაციენტების დოკუმენტაციის გაცემისა და მასთან დაკავშირებული მოქმედებების აღრიცხვის საკითხები.

მოქალაქის განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია შეიცავდა განმცხადებლისთვის განუხილავი ინფორმაციის კონკრეტული პროცედურებისა და მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ მონაცემებს, ასევე განმცხადებლის როგორც ოფიციალურ დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ, ასევე იმ სახელს და გვარს, რომელსაც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს, რაც, თავის მხრივ, მიუთითებდა განმცხადებლის გენდერულ იდენტობაზე. სამედიცინო დაწესებულება მიუთითებდა, რომ ინფორმაცია გამოქვეყნდა დაწესებულების საქმიანი რეპუტაციის დასაცავად, განმცხადებლის მიერ ერთ-ერთ მედიასაშუალებაში გავრცელებული ცნობების საპასუხოდ, სადაც განმცხადებელი მიუთითებდა, რომ დაწესებულებამ მას არ აღმოუჩინა შესაბამისი სამედიცინო დაცვები.

ინსპექტორმა არ გაიზიარა სამედიცინო დაწესებულების პოზიცია და მიუთითა, რომ დასახელებული მიზნის მიღწევა დაწესებულებას შეეძლო ისე, რომ მესამე პირისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი დეტალური ინფორმაცია. შესაბამისად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე გასაჯაროებისათვის, დაწესებულება ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და დაეკისრა ჯარიმა. დაწესებულებას დაევალა სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული განმცხადებლის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაციის წაშლა.

პაციენტების შესახებ ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებმა სრულად გააცნობიერონ და შეაფასონ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რისკი და მიიღონ ადეკვატური და ქმედითი ზომები. მხედველობაშია მისაღები პაციენტების მოსაცდელი და გამოკვლევებისათვის განკუთვნილი სივრცეების მოწყობაც. მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო დაწესებულებების დიდი ნაწილი პაციენტების ჩანერისა და მომსახურების ორგანიზების მიზნით ისეთ ტექნოლოგიურ საშუალებას იყენებს, როგორცაა რიგის ნომრის სისტემა, მოქალაქეები კვლავ მიუთითებენ ექიმთან ვიზიტზე

ჩანერილი პაციენტების სახელებისა და გვარების შემცველი სიის საჯაროდ გამოკვრის პრაქტიკაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია, დაწესებულებებმა შიდაორგანიზაციულ დონეზე მოაწესრიგონ სამედიცინო დოკუმენტაციის შენახვისა და წვდომის საკითხები, რათა პაციენტების მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია არ იყოს ადვილად ხელმისაწვდომი არაუფლებამოსილი პირებისათვის.

ინსპექტორს მომართა მოქალაქემ, რომელმაც მიუთითა, რომ იგი იმყოფებოდა ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში ე.წ. „ნარკოლოგიური ცნობის“ აღების მიზნით. მომსახურების დროს ექიმის ოთახში მასთან ერთად იმყოფებოდნენ სხვა პაციენტებიც, რომლებიც პარალელურ რეჟიმში პასუხობდნენ ექიმ-ნარკოლოგის შეკითხვებს. განმცხადებლის მითითებით, მას ესმოდა სხვა პირის მიერ ექიმის შეკითხვებზე გაცემული პასუხები და მისი პასუხებიც შეეძლო მოესმინა სხვა პაციენტს. საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ნარკოლოგიური გამოკვლევა ერთ ოთახში ერთდროულად რამდენიმე პაციენტს უტარდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში პაციენტები ფიზიკურად ხვდებიან ერთმანეთს და შესაძლოა, ვარაუდობდნენ, რომ ესა თუ ის პირი იტარებს ნარკოლოგიურ შემოწმებას, უშუალოდ ნარკოლოგიური გამოკვლევის პროცესზე დასწრებით მათ მიეწოდებოდა დაზუსტებული და ოფიციალური ინფორმაცია კონკრეტული პაციენტის ვინაობის, მის მიერ მიღებული პრეპარატების, გადატანილი დაავადებებისა და სხვა დეტალების შესახებ. ინსპექტორმა მიიჩნია, რომ ერთსა და იმავე ოთახში რამდენიმე პაციენტის პარალელურ რეჟიმში გამოკვლევა არ შეესაბამება მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოების დაცვის სტანდარტს და მუდმივად წარმოშობს მონაცემების შემთხვევითი გამჟღავნების რისკს. ინსპექტორის დავალებით დაწესებულებამ დაწერა ნარკოლოგიური გამოკვლევის პროცესში პაციენტების პერსონალური მონაცემების შემთხვევითი/უკანონო გამჟღავნებისა-გან დაცვის პროცედურები.

ერთ-ერთ საქმეში დადგინდა, რომ მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი გახდა მისთვის უცნობი პირის სახელზე გაცემული რეცეპტი. კერძოდ, მოქალაქემ ერთ-ერთ საცხოვრებელში შეიძინა პური, რომელიც მას გადაეცა სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ რეცეპტში გახვეული სახით. საქმის გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მითითებული რეცეპტი წარდგენილი იყო ერთ-ერთ აფთიაქში, რომელიც დოკუმენტაციას, მათ შორის, რეცეპტებს გზავნიდა სააფთიაქო ქსელის საწყობში, საიდანაც უტილიზაციისათვის იგზავნებოდა პარტნიორ ორგანიზაციაში. მაკულატურის გადაცემა ხდებოდა წონით და ორგანიზაცია არ აღრიცხავდა უტილიზაციისათვის გადაცემული დოკუმენტაციის რეკვიზიტებსა და გადაცემის თარიღს. შემოწმების ფარგლებში დამატებით გამოვლინდა, რომ სააფთიაქო ქსელის მფლობელ ორგანიზაციასა და უტილიზაციაზე პასუხისმგებელ პარტნიორ ორგანიზაციას შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება არ შეიცავდა მკაფიო მითითებებს მონაცემთა დამუშავების სპეციალურ წესებსა და აკრძალვებზე.

შემოწმების ფარგლებში გამოვლენილი გარემოებებისა და ნაკლოვანებების საფუძველზე, ორგანიზაციას დაევალა პერსონალური მონაცემების შემცველი მაკულატურის უტილიზაციისთვის გადაცემის ფაქტების აღრიცხვა შესაბამისი რეკვიზიტების მითითებით, ასევე, პარტნიორ ორგანიზაციასთან დადებულ ხელშეკრულებაში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული დეტალური ვალდებულებებისა და მონიტორინგის მექანიზმების ასახვა.

სამედიცინო დაწესებულებებში მოქალაქეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების კანონიერებისა და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, დაწესებულებებმა:

- შეიმუშაონ სტანდარტული წესი და მიიღონ ქმედითი ზომები, იმისათვის, რომ მოწესრიგდეს პაციენტების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვის, მესამე პირებისათვის გადაცემისა და მონაცემთა გამჟღავნებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (ვისთვის, რა მონაცემები, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით გამჟღავნდა) აღრიცხვა;
- დანერგონ დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მონაცემთა დამუშავებისათვის დადგენილი წესების შესრულების კონტროლის მექანიზმი;
- მიიღონ აუცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები იმისათვის, რომ პაციენტის პერსონალური მონაცემები დაცული იყოს შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისგან.

მონაცემთა გასაჯაროება

მონაცემთა გასაჯაროებისას ინფორმაცია განუსაზღვრელი ვადით ხელმისაწვდომი ხდება საზოგადოების ფართო, შეუზღუდავი წრისათვის და მათი გავრცელების შემდგომი კონტროლი, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ზოგიერთ შემთხვევაში გასაჯაროება შესაძლოა, წარმოადგენდეს კიდევ აუცილებელ და ლეგიტიმურ საშუალებას, თუმცა თანმდევი რისკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მონაცემთა დამუშავებელმა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში შეაფასოს, არსებობს თუ არა მონაცემთა გასაჯაროების სამართლებრივი საფუძველი და რამდენად აუცილებელია მოცულობითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ლეგიტიმური მიზნისთვის.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა მონაცემთა გასაჯაროების არაერთი ფაქტი შეისწავლა. გარკვეულ შემთხვევებში, გამოვლინდა სამართალდარღვევის ფაქტები.

2018 წელს ორი უნივერსიტეტის შემონმებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, საინფორმაციო დაფაზე საჯაროდ ჰქონდათ განთავსებული სტუდენტების ფინანსური დავალიანებისა და სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაცია (სია მოიცავდა სტუდენტების სახელს, გვარს, პირად ნომერს, ჯგუფის ნომერს).

უნივერსიტეტები მონაცემთა გასაჯაროების მიზნად ასახელებდნენ სტუდენტთა ინფორმირებას. შემონმების ფარგლებში დადგინდა, რომ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება შესაძლებელი იყო სხვა ფორმითაც — ინდივიდუალურად, ელექტრონული ბაზისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტებმა საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადეს სტუდენტების შესახებ ინფორმაცია.

ორივე უნივერსიტეტი ინსპექტორმა სამართალდამრღვევად ცნო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში. მათ ასევე დაევალებათ სტუდენტებისთვის მათი ფინანსური დავალიანების არსებობისა და სტუდენტის სტატუსის ცვლილების შესახებ ინფორმაციის ინდივიდუალურად მიწოდების სტანდარტული წესის შემუშავება. აღნიშნული დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტები საკონსულტაციო რეჟიმში აქტიურად თანამშრომლობდნენ ინსპექტორის აპარატთან.

არაპროპორციული მოცულობით ინფორმაციის გასაჯაროებას შეეხებოდა კიდევ ერთი მოქალაქის განცხადება. განმცხადებელსა და ერთ-ერთ ორგანიზაციას შორის მიმდინარეობდა სასამართლო დავა. ორგანიზაციამ ტელევიზიით გასაჯაროვა განმცხადებლის გვარი, მის ანგარიშზე დარიცხული თანხის ოდენობა და თარიღები, ასევე, ინფორმაცია მისი ნათესაური კავშირების შესახებ. საფინანსო ორგანიზაცია განმარტავდა, რომ ინფორმაცია გასაჯაროვა საკუთარი ინტერესების დასაცავად და იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

ინფორმაციის პერსონალურ მონაცემად მიჩნევისთვის აუცილებელი არ არის, მონაცემი იძლეოდეს პირის სრულად და პირდაპირი იდენტიფიცირების საშუალებას. გარკვეულ შემთხვევებში პირის ვინაობის (სახელისა და გვარის) გარეშე, სხვადასხვა გარემოების ურთიერთშეჯერებით შესაძლებელია დადგინდეს, თუ ვის ეხება ინფორმაცია. ამასთან, მონაცემთა დამუშავებელმა ვერ დაასაბუთა განმცხადებლის შესახებ ინფორმაციის ასეთი ფორმით და მოცულობით გასაჯაროების აუცილებლობა.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საინტერესოა კიდევ ერთი საქმე. ერთ-ერთმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ გაზეთში საჯაროდ გამოაქვეყნა განმცხადებლისა და მისი თავდებისთვის განკუთვნილი შეტყობინებები. შეტყობინებები შეიცავდა დეტალურ ინფორმაციას განმცხადებლის სასესხო ვალდებულების შესახებ, დასახელებული იყო გირავნობის საგნის რეალიზაციის თანხა და მისი მყიდველის სახელი და გვარიც. კომპანიის განმარტებით, გაზეთში შეტყობინებების გამოქვეყნების საფუძველი იყო მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში განმცხადებლის მიერ გამოსატყუი თანხმობა.

ხელშეკრულების თანახმად, თუ მსესხებელს სხვაგვარად ვერ ჩაბარდებოდა შეტყობინება, ორგანიზაცია უფლებამოსილი იყო შეტყობინება გაეცრელებინა საჯაროდ. კომპანიის განმარტებით, შეტყობინებების გამოქვეყნების მიზანი იყო სასამართლოში სარჩელის წარდგენა და სასამართლოს მეშვეობით მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ინსპექტორმა არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტები, რადგან კომპანიას ინფორმაციის გასაჯაროებამდე არ მიუმართავს განმცხადებლისა და მისი თავდების ინფორმირების მიზნით მის ხელთ არსებული ყველა საშუალებისათვის. ასევე, დაუსაბუთებელი იყო გაზეთში დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნების აუცილებლობა.

მონაცემთა გასაჯაროებისას მნიშვნელოვანია მათი ხელმისაწვდომობის ვადების განსაზღვრა.

ერთ-ერთი არბიტრაჟის შემონმების შედეგად დადგინდა, რომ არბიტრაჟი თავის ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი ფორმით, განუსაზღვრელი ვადით აქვეყნებდა საჯარო შეტყობინებებს, რომლებიც შეიცავდა საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე პირების შესახებ ინფორმაციას (მხარეთა სახელებს, პირად ნომრებს, დავის საგნის შესახებ ინფორმაციას და ა.შ.). დადგენილებები ვებგვერდზე ქვეყნდებოდა მხოლოდ იმ საარბიტრაჟო საქმესთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც კორესპონდენციის ჩაბარება ვერ მოხერხდა ადრესატ(ებ)ისათვის. მართალია, საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე პირები თავად აცხადებდნენ თანხმობას ინფორმაციის გასაჯაროებაზე, მაგრამ მონაცემთა დამუშავების ლეგიტიმური მიზანი არ საჭიროებდა ინფორმაციის განუსაზღვრელი ვადით ხელმისაწვდომობას. არბიტრაჟის დებულების თანახმად, თუ მხარისთვის უწყების/სარჩელის ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდებოდა, არბიტრაჟი უფლებამოსილი იყო, გამოეტანა დადგენილება შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. აღნიშნულ შემთხვევაში უწყება/სარჩელი მხარისათვის ჩაბარებულად მიიჩნეოდა ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მონაცემთა გასაჯაროება ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა წარმოადგენდეს მიზნის მიღწევის აუცილებელ და ლეგიტიმურ საშუალებას. საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღების ინტერესი შესაძლოა განსხვავდებოდეს, იმისდა მიხედვით, თუ რა სტატუსი უკავია მონაცემთა სუბიექტს საზოგადოებაში.

ერთ-ერთ საქმეში განმცხადებელი მიუთითებდა, რომ ა(ა)იპ „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ“ გაასაჯაროვა გადაწყვეტილება, რომელიც შეიცავდა განმცხადებლის პერსონალურ მონაცემებს (სახელს, გვარს, სამუშაო ადგილს) და მსჯელობას განმცხადებლის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის თაობაზე.

განცხადების განხილვის ფარგლებში ასევე დადგინდა, რომ პერსონალური მონაცემები, რომლებიც ქარტიას მიუთითებელი ჰქონდა გადაწყვეტილებაში, განმცხადებელმა თავად გახადა ხელმისაწვდომი, რაც მონაცემთა დამუშავების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა. რაც შეეხება განმცხადებლის წინააღმდეგ ქარტიის საბჭოში მიმდინარე საქმის განხილვისა და საბჭოს გადაწყვეტილების გასაჯაროებას, ინსპექტორმა დაადგინა, რომ ქარტიის გადაწყვეტილება ასახავდა მხოლოდ ქარტიის საბჭოს, როგორც ჟურნალისტური ეთიკის თვითრეგულირების მიზნით შექმნილი ორგანიზაციის მოსაზრებას ჟურნალისტის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის თაობაზე. ჟურნალისტური საქმიანობა არის საჯარო და დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, ჟურნალისტი არის საჯარო პირი და საზოგადოებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, თმენის მომეტებული ვალდებულება ეკისრება. ამდენად, განცხადების განხილვის ფარგლებში ქარტიის მიერ კანონის დარღვევა არ დადგინდა.

მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციები მონაცემთა გასაჯაროებამდე უნდა დარწმუნდნენ, რომ:

- არსებობს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი;
- მონაცემთა გასაჯაროება აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
- მონაცემების მოცულობა შეესაბამება მისაღწევ მიზანს;
- მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მიზნის ადეკვატური ვადით.

პრობლემური სესხების მართვისას მონაცემების დამუშავება

ინსპექტორის გასული წლების ანგარიშებში ასახული იყო პრობლემური სესხების მართვის პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემური საკითხი. 2018 წელს ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა სესხის ამომღები ორგანიზაციების მიერ მონაცემთა დამუშავების 35 შემთხვევა. შესწავლილ საქმეებში კვლავ გამოიკვეთა პრობლემური სესხების ამომღების პროცესში მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავების ფაქტები.

მოქალაქეთა განცხადებების უმეტესი ნაწილი შეეხებოდა ორგანიზაციების მიერ დავალიანების გადახდევინების მიზნით მესამე პირებთან დაკავშირებას (მსესხებლის ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან, სოციალურ ქსელებში დამეგობრებულ პირებთან, თანამშრომლებთან), რა დროსაც

მჟღავნებოდა დავალიანების არსებობის და, ზოგიერთ შემთხვევაში, დავალიანების შესახებ დეტალური ინფორმაცია (დავალიანების, გადახდისა თუ დარიცხული პროცენტის რაოდენობა).

განცხადებების განხილვისას მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციები და მათი უფლებამოსილი პირები განმარტავენ, რომ მესამე პირების მეშვეობით მსესხებელთან კომუნიკაცია პრობლემური სესხის ამომღების პროცესში აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს, ვინაიდან, ასეთ დროს გართულებულია მსესხებელთან უშუალო კავშირი. უნდა აღინიშნოს, რომ დავალიანების გადახდის უზრუნველსაყოფად მსესხებელთან მოლაპარაკების წარმოება და ამ მიზნით მესამე პირებთან დაკავშირება, ზოგიერთ შემთხვევაში, მართლაც, შეიძლება წარმოადგენდეს კრედიტორი ორგანიზაციების ლეგიტიმურ ინტერესს, თუმცა ამ პროცესში აუცილებელია მონაცემთა დამუშავების კანონით დადგენილი პრინციპების დაცვა. ორგანიზაციებმა უნდა მიმართონ ყველა შესაძლო გონივრულ ღონისძიებას, რათა საკუთარი ინტერესების დაცვისას მაქსიმალურად აიცილონ თავიდან მოქალაქის ღირსებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების შელახვა.

საანგარიშო პერიოდში შესწავლილ საქმეებში გამოვლინდა რამდენიმე ისეთი შემთხვევა, როდესაც კრედიტორები მესამე პირებს უკავშირდებოდნენ მამინაც, როდესაც მსესხებელთან უშუალო კომუნიკაცია სირთულეს არ წარმოადგენდა. მეტიც, ორგანიზაციები პარალელურ რეჟიმში, რამდენიმე წუთის შუალედით ესაუბრებოდნენ მსესხებლებსა და მესამე პირებს. ზოგიერთ შემთხვევაში კი დადგინდა, რომ ორგანიზაციები არ იყენებდნენ მათ ხელთ არსებულ ყველა საკონტაქტო მონაცემს (ელექტრონულ ფოსტას, საცხოვრებელ მისამართსა და ა.შ.) და მხოლოდ რამდენიმე უშედეგო ზარის შემდეგ, მსესხებელთან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენების გარეშე, უკავშირდებოდნენ მესამე პირებს. რამდენიმე შემთხვევაში დადასტურდა მესამე პირებისთვის დავალიანების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ფაქტიც.

აღნიშვნას საჭიროებს მსესხებელთან დაკავშირებული მესამე პირების შესახებ მონაცემების მოპოვების გზების კანონიერების საკითხიც. კრედიტორები მონაცემების მოპოვების წყაროდ მიუთითებენ საჯარო მონაცემთა ბაზებს, სოციალურ ქსელებსა და მსესხებლის საცხოვრებელ ადგილზე ვიზიტისას — მეზობლებს, თუმცა არ აღრიცხავენ ინფორმაციის მოძიების კონკრეტულ წყაროს. 2018 წელს არაერთ სესხის გამცემ თუ ამომღებ ორგანიზაციას დაევალა მათ მიერ მსესხებლის მოძიებისა და დავალიანების გადახდის მიზნით მოპოვებული პერსონალური მონაცემების, მათ შორის, მსესხებელთან სავარაუდოდ დაკავშირებული მესამე პირების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის სტანდარტული წესის/პროცედურის წერილობითი ფორმით შემუშავება.

ერთ-ერთი განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ ორგანიზაცია ე.წ. „პრობლემური“ მსესხებლების მოძიების მიზნით ამუშავებდა კლიენტების მიერ გამოყენებულ IP მისამართებს. კერძოდ, ორგანიზაცია ინახავდა იმ IP მისამართებს, რომელთა გამოყენებითაც მომხმარებელი რეგისტრირდებოდა ორგანიზაციის ვებგვერდზე და ავსებდა სესხის განაცხადს. ორგანიზაციის პროგრამულ სისტემაში დაფიქსირდა, რომ განმცხადებელმა და მსესხებელმა სხვადასხვა დროს სესხის განაცხადის გაგზავნისას გამოიყენეს ერთი და იგივე IP მისამართი. სწორედ ამ ინფორმაციის საფუძველზე დააკავშირა ორგანიზაციამ განმცხადებელი მსესხებელთან და დაუკავშირდა განმცხადებელს. განმცხადებლის მითითებით, მსესხებელი არ იყო მისი ოჯახის წევრი ან/და ნათესავი. განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ ორგანიზაცია მონაცემთა სუბიექტებს სათანადო ინფორმაციას არ აწვდიდა: განმცხადებლისგან გარკვეული კატეგორიის მონაცემების კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე მიღებული ჰქონდა თანხმობა, თუმცა არა IP მისამართის მითითებული მიზნით დამუშავებაზე; ამასთან, ორგანიზაციას არც სხვა ფორმით მოუხდენია განმცხადებლის

ინფორმირება IP მისამართის მითითებული მიზნით დამუშავების შესახებ. მომხმარებლის თანხმობისა და ინფორმირების არარსებობის პირობებში, ორგანიზაციამ ვერ დაასაბუთა განმცხადებლის მიერ გამოყენებული IP მისამართის დამუშავების აუცილებლობა კომპანიის კანონიერი ინტერესების დასაცავად.

პრობლემური სესხების მართვის პროცესში ხარვეზები გამოვლინდა საკრედიტო ორგანიზაციების მიერ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის კუთხით, კერძოდ, დადგინდა მსესხებლებისთვის განკუთვნილი წერილების მესამე პირებისთვის ჩაბარების რამდენიმე ფაქტი. ერთ-ერთ შემთხვევაში საკრედიტო ორგანიზაციამ მსესხებლისთვის განკუთვნილი წერილი ღია ფორმით, კონვერტის გარეშე ჩააბარა განმცხადებლის მეზობელს, რომელმაც, სხვა მეზობლის დახმარებით, წერილი გადასცა განმცხადებლის დედას. ამგვარად, კომპანიის ქმედების შედეგად განმცხადებლის შეუსრულებელი ფულადი ვალდებულების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა როგორც განმცხადებლის მეზობლების, ასევე, განმცხადებლის დედისთვის.

მონაცემთა დამუშავებელი ორგანიზაციები და მათი უფლებამოსილი პირები პრობლემური სესხების ამოღების პროცესში მონაცემთა დამუშავებისას:

- უნდა დარწმუნდნენ, რომ მსესხებელთან კომუნიკაციის მიზნით მესამე პირთან დაკავშირებისას არსებობს შესაბამისი აუცილებლობა, მათ შორის, ამონაწერი ყველა სხვა საშუალება და დაკავშირების მცდელობიდან გასულია გონივრული ვადა;
- მესამე პირთან დაკავშირებისას არ უნდა გასცენ იმაზე მეტი ინფორმაცია, ვიდრე საჭიროა შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად;
- უნდა აღრიცხონ, თუ რა გზით შეგროვდა მსესხებელთან დაკავშირებული მესამე პირების შესახებ ინფორმაცია;
- უნდა მიიღონ ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მსესხებლის მონაცემების, მათ შორის დავალიანების შესახებ ინფორმაციის, დაცვას შემთხვევითი ან უკანონო გამჟღავნებისაგან.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები

პერსონალური მონაცემის დამუშავებისას ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს №108 კონვენცია, ისევე, როგორც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტების რიგ უფლებებს, რომელთა რეალიზებით მოქალაქეებს საშუალება ეძლევათ, დარწმუნდნენ მათ შესახებ მონაცემების დამუშავების კანონიერებაში და დარღვეული უფლებების დასაცავად მიიღონ შესაბამისი ზომები.

პირადი მონაცემების კონტროლის თვალსაზრისით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება. ორგანიზაციები ვალდებული არიან, კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყონ შესაბამისი ღონისძიების გატარება მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მონაცემთა სუბიექტს აცნობონ უარის საფუძველი.

2018 წელს ინსპექტორმა ორგანიზაციების მხრიდან მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის არაერთი ფაქტი გამოავლინა.

მოქალაქე მიუთითებდა, რომ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ერთ-ერთი სესხის გამცემი ორგანიზაციისგან სისტემატურად იღებდა სხვისთვის განკუთვნილ ელექტრონულ წერილებს, ფინანსური ვალდებულებების შესახებ. განმცხადებელმა მიმართა ორგანიზაციას თავისი ელექტრონული ფოსტის მისამართის შესაბამისი ბაზიდან წაშლის მოთხოვნით, თუმცა უშედეგოდ.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციამ შეიტყო, რომ ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელიც მასთან დაფიქსირებული იყო ერთ-ერთი მსესხებლის საკონტაქტო მონაცემად, ეკუთვნოდა სხვა პირს, ორგანიზაციას არ მიუმართავს ქმედითი ზომებისთვის არც მსესხებლის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების პრევენციის და არც განმცხადებლის უფლების დასაცავად. ორგანიზაციამ განაგრძო განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენება, რის გამოც ცნობილ იქნა სამართალდარღვევის ჩამდენად, დაეკისრა ჯარიმა და დაევალა განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენების შეწყვეტა.

ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომელმაც მიუთითა, რომ მობილური ტელეფონის ნომრის შექმნის შემდგომ, მას სისტემატურად უკავშირდებოდა პრობლემური სესხების ამომღები ერთ-ერთი ორგანიზაცია უცნობი პირის ვადაგადაცილებული სესხის თაობაზე. მოქალაქის განმარტებით, მან ორგანიზაციას არაერთხელ მოსთხოვა თავისი სატელეფონო ნომრის წაშლა. მტკიცებულების სახით ასევე წარუდგინა მობილურ ოპერატორთან გაფორმებული ხელშეკრულება სატელეფონო ნომრის შექმნის შესახებ, რომელიც ადასტურებდა, რომ ნომერი მას ეკუთვნოდა. განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ ორგანიზაციამ სათანადოდ არ განიხილა განმცხადებლის მოთხოვნა და განაგრძო განმცხადებლის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრის გამოყენება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ორგანიზაციას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის შეეფარდა ჯარიმა, დაევალა განმცხადებლის მფლობელობაში არსებული სატელეფონო ნომრის დამუშავების შეწყვეტა და მონაცემების წაშლის/განახლების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთა დავალებითაც ამუშავებდა მონაცემებს.

მონაცემთა სუბიექტის უფლებათა შორის ასევე აღსანიშნავია მოქალაქის უფლება, ნებისმიერ დროს ყოველგვარი განმარტების გარეშე უარი განაცხადოს გაცემულ თანხმობაზე და მოითხოვოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებულ მონაცემთა წაშლა/განადგურება. ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები ასეთი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა სამართლებრივი საფუძველი.

ინსპექტორს მომართა მოქალაქემ, რომელმაც მიუთითა, რომ სილამაზის სალონში ვიზიტისას პროცედურის დაწყებამდე შესთავაზეს მომსახურების პროცესის რეალურ დროში ვიდეოგადაღება და სოციალურ ქსელში გასაჯაროება (ე.წ. „Facebook live“), რაზეც თანხმობა განაცხადა. ვიდეოჩანაწერი განთავსდა სალონის სოციალური ქსელის გვერდზე. გარკვეული პერიოდის შემდგომ მოქალაქემ არაერთგზის მოსთხოვა ადმინისტრაციას ვიდეოჩანაწერის წაშლა, თუმცა სალონმა კანონით დადგენილ ვადაში ვიდეოჩანაწერის წაშლა ვერ უზრუნველყო. ადმინისტრაციული სახდელის სახით გაფრთხილების შეფარდების შემდეგ სალონმა ჩანაწერი წაშალა.

მონაცემთა სუბიექტის უფლებები არ არის აბსოლუტური და მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, რომელთა არსებობისას დასაშვებია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შეზღუდვა. მაგალითად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მარტივად, გონივრულ ვადაში, დანახარჯის გარეშე მიიღოს ინფორმაცია ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ მის შესახებ დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებზე (რომელი მონაცემი მუშავდება, რა მიზნით, რა სამართლებრივი საფუძვლით, რა გზით შეგროვდა მონაცემები, ვისზე გაიცა და რა მიზნით), თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს, ამ უფლების შეზღუდვა შესაძლოა ჩაითვალოს დასაშვებად.

ინსპექტორს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ წერილობით მიმართა ყოფილ დამსაქმებელს და მოითხოვა ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავების შესახებ. მოქალაქეს აინტერესებდა იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც დამსაქმებელს შეატყობინეს განმცხადებლის არასათანადო ქცევის შესახებ, რაც გახდა მის მიმართ დისციპლინური მოკვლევის წარმოების საფუძველი. განმცხადებელს კონკრეტული პირების ვინაობა არ ეცნობა, თუმცა მიეწოდა ზოგადი ინფორმაცია წყაროს შესახებ. ინფორმაციის გაუცემლობის საფუძვლად დასახელდა ამავე პირების კანონიერი ინტერესების დაცვა, ვინაიდან ასეთი ინფორმაციის დამსაქმებლისთვის შეტყობინების შემთხვევაში, თანამშრომლებს უნდა ჰქონოდათ მოლოდინი, რომ მათ შესახებ ინფორმაცია დარჩებოდა ანონიმური. განმცხადებლის შესახებ დაწყებული წინასწარი მოკვლევა დისციპლინურ წარმოებაში არ გადაზრდილა და შესაბამისად, არც განმცხადებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი დამდგარა.

ინსპექტორმა მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ არსებობდა განმცხადებლის აღმატებული ინტერესი და, შესაბამისად, ორგანიზაციას კანონი არ დაურღვევია.

მონაცემთა სუბიექტების უფლებების სათანადო რეალიზების მიზნით, მნიშვნელოვანია, ორგანიზაციებმა:

- მოქალაქისგან მონაცემთა გასწორების/განახლების/წაშლის მოთხოვნის მიღებისას სრულყოფილად შეისწავლონ წარმოდგენილი არგუმენტაცია/მტკიცებულებები და დროულად, კანონით დადგენილ ვადაში მოახდინონ რეაგირება;
- არაზუსტი/არასწორი მონაცემების აღმოჩენისთანავე მიიღონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ არ გამჟღავნდეს კონფიდენციალური ინფორმაცია მის გაცნობაზე არაუფლებამოსილ პირთან, შემთხვევით ან/და უკანონოდ.

მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადასემა

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის მიერ გაცემული ნებართვები და აპარატის მიერ განეული კონსულტაციები მეტყველებს, რომ მონაცემების სხვა სახელმწიფოში გადაცემის საკითხი კვლავ აქტუალურია. საქართველოში მოქმედი კომპანიები ხშირად იყენებენ საზღვარგარეთ დაფუძნებული კომპანიების მომსახურებას და ამ პროცესში საჭირო ხდება გარკვეული სახის მონაცემების სხვა სახელმწიფოში მოქმედი კომპანიებისთვის გადაცემა. 2018 წელს ინსპექტორის აპარატში კანონით დადგენილი წესით მონაცემების სხვა სახელმწიფოში გადაცემის ნებართვის გაცემის მიზნით შემოვიდა 8 განაცხადი. წარმოდგენილი განაცხადებიდან ერთ შემთხვევაში ნებართვა გაიცა ნაწილობრივ, ორ შემთხვევაში კომპანიებს უარი ეთქვათ მონაცემების გადაცემაზე, დანარჩენ შემთხვევებში კი ორგანიზაციებს მიეცათ მონაცემთა გადაცემის ნებართვა.

ფაილურ სისტემათა კატალოგების რეგისტრირება

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესზე ზედამხედველობისა და მონაცემთა დამუშავების ანგარიშვალდებულების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი აწარმოებს ფაილურ სისტემათა კატალოგების ელექტრონულ რეგისტრს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ, გაეცნონ, საჯარო თუ კერძო ორგანიზაციები რა სახის პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ, რა საფუძვლით, მიზნითა და მოცულობით, როგორია მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები.

2018 წელს ინსპექტორის აპარატმა ფაილური სისტემის კატალოგებთან დაკავშირებით 400-ზე მეტი წერილობითი და ზეპირი კონსულტაცია გასცა.

საანგარიშო პერიოდში, ელექტრონული რეგისტრის მეშვეობით, ინსპექტორს ჯამში 1282 ფაილური სისტემის კატალოგი წარედგინა, აქედან, 1156 კატალოგი წარმოადგინეს კერძო სექტორის მონაცემთა დამუშავებლებმა, რომელთაგან: 350 კატალოგი — ფინანსური მომსახურების გამწვანებელი ორგანიზაციებმა, 320 — სავაჭრო ობიექტებმა, 32 — ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში არსებულმა ორგანიზაციებმა, 29 — სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელმა დაწესებულებებმა და ა.შ.

ვიდეოთვალთვალი


ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად არა მარტო საჯარო უწყებებისა და კერძო ორგანიზაციების, არამედ ფიზიკური პირების მხრიდანაც ყოველწლიურად იზრდება ვიდეოთვალთვალის სისტემების გამოყენების მაჩვენებელი. უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით ტექნიკური საშუალებების, მათ შორის ვიდეოსათვალთვალო მოწყობილობების, ხელმისაწვდომობამ, ვიდეოთვალთვალი ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად აქცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონით დადგენილი მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულებას.

2018 წელს ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა სავაჭრო ობიექტებში, სამედიცინო დაწესებულებებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსებში, სასტუმროებში, საჯარო უწყებებსა და საცხოვრებელ შენობებში განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემების საშუალებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების 60 შემთხვევა და შესწავლის შედეგად გამოვლინდა ვიდეოთვალთვალისა და უსაფრთხოების წესების დარღვევის 46 ფაქტი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 31 მონაცემთა დამუშავებელს დაეკისრა შესაბამისი პასუხისმგებლობა, ჯარიმისა და გაფრთხილების სახით. დამატებით, გაიცა 93 დავალება ვიდეოთვალთვალის შესახებ გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსების, დასაქმებულთა ინფორმირების, ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადის, უსაფრთხოების მიზნით გასატარებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომებისა და მესამე პირებისთვის ჩანაწერის გამჟღავნების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შემოწმებების შედეგად დადგინდა, რომ მონაცემთა დამუშავებლები, ძირითადად, ვიდეოთვალთვალს მიმართავდნენ კანონით დადგენილი მიზნების შესაბამისად, თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციები ვიდეოთვალთვალს იყენებდნენ პირთა ქცევისა თუ კომუნიკაციის კონტროლის მიზნითაც. ამასთან, გამოიკვეთა ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობის შესახებ მოქალაქეების არასათანადო ინფორმირების ტენდენცია, კერძოდ, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინო ადგილას განთავსებისა თუ დასაქმებულთა წერილობითი ინფორმირების პრობლემები.

ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ასევე მნიშვნელოვანია მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხი. ინსპექტირებების შედეგად გამოიკვეთა, რომ დანესებულებები ვიდეორჩანაწერების უსაფრთხოების დასაცავად არ იღებდნენ შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს. ასევე, გამოვლინდა გამოსაცვლელ სივრცეში ვიდეომონიტორინგის ფაქტიც.

2018 წელი ვიდეოსათვალთვალი



გამოსაცვლელი ოთახების ვიდეოსათვალთვალი

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვიდეოსათვალთვალი დაუშვებელია გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში, რაც, ერთი მხრივ, ემსახურება ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, ხოლო მეორე მხრივ, მოქალაქეს აქვს გონივრული და ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მსგავს ადგილებში ვიდეომონიტორინგი არ უნდა ხორციელდებოდეს.

გასულ წელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს განცხადებით მომართა მოქალაქემ, რომელიც მიუთითებდა, რომ ერთ-ერთი სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ტერიტორიაზე ვიდეოსათვალთვალო კამერები განთავსებული იყო მამაკაცების გამოსაცვლელ სივრცეში. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა ინფორმაციის მიღებისთანავე დაიწყო საკითხის შესწავლა. შემონმების შედეგად დადგინდა, რომ ვიდეოსათვალთვალო კამერები დამონტაჟებული იყო და მათი ხედვის არეალი მოიცავდა მამაკაცებისთვის განკუთვნილ იმ სივრცეს, სადაც მდებარეობდა შესანახი კარადები, დახურული ე.წ. გამოსაცვლელი კაბინები და ტერიტორია, რომლის გავლითაც ვიზიტორები შედიოდნენ საშხაპეში, საპირფარეოსა და აუზზე. მართალია, ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალში არ ექცეოდა უშუალოდ გამოსაცვლელი კაბინების შიდა პერიმეტრი, მაგრამ ადგილზე ჩატარებული შემონმების შედეგად დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში ვიზიტორები, ვერ იყენებდნენ რა გამოსაცვლელ კაბინებს, მათი სიმცირის გამო, ტანსაცმელს იცვლიდნენ უშუალოდ კარადებთან და სკამებთან, რის შედეგადაც ექცეოდნენ ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალში. კომპანია განმარტავდა,

რომ აღნიშნული სივრცე არ წარმოადგენდა გამოსაცვლელ (გასახდელ) ოთახს, თუმცა აღნიშნული სივრცე კომპანიის შიდა დოკუმენტაციასა და კომპანიის დირექტორის ბრძანებებში მოხსენიებული იყო, როგორც „გასახდელი“.

რამდენადაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონი იმპერატიულად კრძალავს გამოსაცვლელ ოთახებსა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ ადგილებში ვიდეოსათვალთვალს, ინსპექტორის გადანყვეტილებით, კომპანია ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, დაეკისრა ჯარიმა და დაევალა ვიდეოსათვალთვალის არეალის შეცვლა.

სასტუმროების შენობების ვიდეოსათვალთვალი

საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა მოქალაქეთა მომართვიანობა საცხოვრებელ შენობებში განთავსებულ ვიდეოსათვალთვალო სისტემებთან დაკავშირებით. განხორციელებული შემონმების შედეგად დადგინდა, რომ საცხოვრებელ შენობებში ვიდეოსათვალთვალთან ერთად, რიგ შემთხვევებში, მიმდინარეობდა აუდიომონიტორინგიც. ხშირად ვიდეოსათვალთვალო კამერის ხედვის არეალში ხვდებოდა მეზობლის ეზო ან სახლი, მეზობლად მცხოვრები პირები კი წინასწარ არ იყვნენ ინფორმირებულნი მათი საკუთრების ვიდეოსათვალთვალის თაობაზე და არ გამოუხატავთ თანხმობა.

10 ფიზიკურ პირს დაუდგინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ისინი წარსულში არ ყოფილან ცნობილი სამართალდამრღვევებად და ინსპექტირების პროცესში მიიღეს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად, მათ მიმართ სახდელის სახით გამოყენებულ იქნა გაფრთხილება.

ბოლო წლებში საოჯახო სასტუმროებისა და ე.წ. ჰოსტელების რაოდენობის ზრდასთან ერთად უსაფრთხოების და საკუთრების დაცვის მიზნით გახშირდა მრავალბინიან საცხოვრებელ შენობებში ვიდეოსათვალთვალის სისტემის გამოყენების პრაქტიკა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საცხოვრებელი შენობის შესასვლელსა და საერთო სივრცეში ვიდეოსათვალთვალის სისტემის დასაყენებლად აუცილებელია ამ შენობის მესაკუთრეთა ნახევარზე მეტის წერილობითი თანხმობა, ხოლო ბინის შესასვლელის ვიდეოსათვალთვალისას კანონი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს ამ ბინის მესაკუთრის წერილობით თანხმობას.

2018 წელს შესწავლილ ერთ-ერთ შემთხვევაში დადგინდა, რომ საოჯახო სასტუმროს გარე პერიმეტრზე დაყენებული ვიდეოსათვალთვალო კამერების ხედვის არეალი მოიცავდა მეზობლად მდებარე ბინის კარს, საერთო შესასვლელსა და საერთო აივანს. ამასთან, კამერების მეშვეობით მიმდინარეობდა აუდიომონიტორინგი შენობის მცხოვრებთა ნების წინააღმდეგ და გამაფრთხილებელი ნიშნის განთავსების გარეშე, რაც წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას მაცხოვრებელთა პირად ცხოვრებაში.

საგულისხმოა, რომ საცხოვრებელ შენობებში უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვის მიზნით დამონტაჟებულმა აუდიო-ვიდეოსათვალთვალო სისტემამ შესაძლოა ხელყოს მეზობლების ან თანამემსაკუთრეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. ამიტომ აუცილებელია, მოქალაქეებმა აუდიო-ვიდეოსათვალთვალი განახორციელონ კანონის შესაბამისად და კონკრეტული მიზნის ადეკვატური მოცულობით, რათა საკუთრების დაცვის უფლების რეალიზებისას არ ხელყონ სხვა პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ვიდეოჩანაწერების შენახვა

პრაქტიკაში კვლავ ვლინდება შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციები საჭიროებას სათანადოდ არ აფასებენ და მონაცემებს, მათ შორის, ვიდეოჩანაწერებს განუსაზღვრელი ვადით ინახავენ. ამასთან, არ ითვალისწინებენ, რომ დიდი მოცულობით პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის/შენახვისთვის საჭიროა სხვადასხვა ტექნიკური საშუალებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ხარჯთან. გარდა ამისა, თუ მსგავს შემთხვევაში არ არის მიღებული სათანადო ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, იზრდება პერსონალური მონაცემების უკანონო გამჟღავნების საფრთხე.

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების შემონახვისას დადგინდა, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, თუმცა პროგრამულ უზრუნველყოფაში ჩანაწერები ინახებოდა ერთ წელზე მეტი ვადით, ყოველგვარი საჭიროების გარეშე.

ვიდეოთვალთვალის სისტემაზე წვდომა და მონაცემთა უსაფრთხოება

მოქმედი კანონმდებლობით, ვიდეოთვალთვალის სისტემის განთავსება სავალდებულოა აფთიაქების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, ავტოგასამართი სადგურების, აზარტული თუ სხვა მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორებისთვის. აღნიშნული დაწესებულებებისთვის კანონმდებლობა ადგენს როგორც ვიდეოთვალთვალის სისტემის პარამეტრებს, ტექნიკურ მახასიათებლებს, ასევე მისი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს და ვიდეოჩანაწერებზე წვდომის უფლებამოსილების მქონე სუბიექტებს, რაც პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის მიღებულ ერთ-ერთი მნიშვნელოვან ზომას წარმოადგენს.

2018 წელს არაერთი ორგანიზაციის შემონახვის ფარგლებში დადგინდა, რომ ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით შესაძლებელი იყო ვიდეოგამოსახულებაზე როგორც პირდაპირ რეჟიმში წვდომა, ისე ვიდეოთვალთვალის შედეგად მიღებული ჩანაწერების დათვალიერება და ამოღება (ე.წ. „ექსპორტი“), თუმცა სისტემებს არ გააჩნდათ მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგირება“) და შესაბამისად, კომპანიები არ აღრიცხავდნენ ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებულ მოქმედებებს. გარდა ამისა, წვდომის უფლების მქონე პირებს არ გააჩნდათ პერსონიფიცირებული მომხმარებლის სახელი და სარგებლობდნენ საერთო სახელით („ადმინ“) და პაროლით. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სისტემის მიერ აღირიცხებოდა კონკრეტული მომხმარებლის სახელით შესრულებული მოქმედებები, შეუძლებელი იყო იდენტიფიცირება, უშუალოდ რომელმაც პირმა დაამუშავა მონაცემები.

ელექტრონული ფორმით დაცული მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათზე ადვილად ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციებმა აღრიცხონ მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედება, მათ შორის, რომელი მონაცემი გამჟღავნდა, ვისთვის, როდის და რა სამართლებრივი საფუძვლით. ამასთან, აუცილებელია, რომ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე თითოეულ პირს ჰქონდეს ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი, რათა მონაცემთა უკანონო გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიდეოთვალთვალის გზით მონაცემთა დამუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

- ვიდეოთვალთვალის უნდა განხორციელდეს მხოლოდ კანონით განსაზღვრული მიზნებისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია კანონით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად;
- ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას მნიშვნელოვანია მონიტორინგის არეალში მოხვედრილ პირთა ინფორმირება კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, აუცილებელია შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება, ორგანიზაციაში დასაქმებულთა წერილობითი ინფორმირება ვიდეოთვალთვალის მიმდინარეობისა და მათი უფლებების შესახებ, ასევე საცხოვრებელ შენობებში მეზობლად მდებარე ბინების მესაკუთრეთა სათანადო ინფორმირება და სისტემის მონტაჟზე მათი თანხმობის მოპოვება;
- ორგანიზაციებმა მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად უნდა შეიმუშაონ შესაბამისი წესები და მიიღონ იმგვარი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა, აგრეთვე, განსაზღვრონ ვიდეოთვალთვალის სისტემაზე პერსონიფიცირებული და დიფერენცირებული წვდომის დონეები, საჭიროებისა და მათი უფლებამოსილების შესაბამისად.

პირდაპირი მარკეტინგი


2018 წელს პირდაპირი მარკეტინგი კვლავ აქტიურ საკითხს წარმოადგენდა. 59 მოქალაქის მომართვის საფუძველზე ინსპექტორმა შეისწავლა პირდაპირი მარკეტინგის ათეულობით ფაქტი. აქედან 23 შემთხვევაში კანონით განსაზღვრული წესების დარღვევა დადგინდა, 19 ორგანიზაციას დაეკისრა ჯარიმა და გაიცა შესასრულებლად სავალდებულო 57 დავალება.

მიუხედავად ინსპექტორის აპარატის არაერთი აქტივობისა, როგორც ცნობიერების ამაღლების, ასევე, ინსპექტირებისა და მოქალაქეთა განცხადებების განხილვის კუთხით, პრაქტიკაში კვლავ პრობლემატურია შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმის მექანიზმის არარსებობა ან არასათანადოდ ფუნქციონირება. ზოგჯერ უარის თქმის მექანიზმის შეტყობინების ტექსტი ნათლად არ ასახავს მისი გამოყენების პროცედურას.

მიმდინარე წელს გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია - რამდენიმე ორგანიზაცია აპელირებდა იმაზე, რომ მათ მიერ გაგზავნილი შეტყობინება შინაარსით არ იყო სარეკლამო ხასიათის და წარმოადგენდა საინფორმაციო შეტყობინებას. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი პირდაპირ მარკეტინგს განმარტავს როგორც ფოსტის, სატელეფონო ზარის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა სატელეკომუნიკაციო საშუალებით საქონლის, მომსახურების, დასაქმების ან დროებითი სამუშაოს შეთავაზებას. შესაბამისად, იმისათვის, რომ შეთავაზება პირდაპირ მარკეტინგად ჩაითვალოს, საკმარისია ადრესატისთვის ისეთი შეთავაზება, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად სთავაზობს უფასო ან ფასიან საქონელს, მომსახურებას და/ან დასაქმებას. ინსპექტორის ეს შეფასება დადასტურდა სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

კანონდარღვევის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია, კომპანიებმა ყურადღებით ჩამოაყალიბონ გასაგზავნი შეტყობინებების ტექსტი და გაგზავნისას გაითვალისწინონ მათ შემდგომ მიღებაზე უარის თქმის მექანიზმი, რათა მომხმარებელს შეეძლოს არასასურველი ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმა.

2018 წელი პირდაპირი მარკეტინგი



უარის თქმის მექანიზმის ბუნდოვანება

საანგარიშო პერიოდში ინსპექტორის აპარატმა შეისწავლა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც უფლებამოსილი პირის (ე.წ. შუამავალი კომპანიის) მეშვეობით გაგზავნილი სარეკლამო შეტყობინება შეიცავდა უარის თქმის მექანიზმს, თუმცა მითითებულ ციფრთა თუ სიტყვათა კომბინაცია იძლეოდა მისი განსხვავებულად აღქმის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ პირდაპირ მარკეტინგთან დაკავშირებით კანონში არსებული რეგულაციების მთავარი მიზანი პირის მონაცემების მისი ნების საწინააღმდეგოდ დამუშავების თავიდან აცილებაა. შესაბამისად, მექანიზმი უნდა უზრუნველყოფდეს ამ მიზნის მიღწევას, მოქალაქეთა ინფორმირება კი შეტყობინების მიღებაზე უარის თქმის უფლების შესახებ სათანადოდ უნდა ხდებოდეს.

შეტყობინების გაგზავნა შუამავალი კომპანიის მეშვეობით

საანგარიშო პერიოდში განხილული საქმეები ცხადყოფს, რომ ყველაზე ხშირად სარეკლამო ხასიათის მოკლე ტექსტური შეტყობინებები შუამავალი კომპანიების (მათ შორის, მობილური ოპერატორების) მეშვეობით იგზავნება.

ერთ-ერთი განცხადების განხილვის ფარგლებში დადგინდა, რომ კომპანია სარეკლამო შეტყობინებებს გზავნიდა ორი სხვადასხვა არხით - მობილური ოპერატორის პორტალითა და შუამავალი კომპანიის ვებპორტალით. შესაბამისად, გამოიყენებოდა უარის თქმის ორი განსხვავებული მექანიზმი და ერთი მექანიზმის საშუალებით უარის თქმის მიუხედავად, მოქალაქე კვლავ იღებდა მეორე არხით იმავე კომპანიის სახელით შეტყობინებას.

მნიშვნელოვანია, რომ უფლებამოსილი პირების მეშვეობით მონაცემთა დამუშავებისას კომპანიებმა შექმნან ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმი, რომელიც მისცემს შესაძლებლობას, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში, სრულად შეწყვიტონ მისი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავება.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა, რომ ხშირად მონაცემთა დამუშავებელსა და უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: მონაცემთა სუბიექტისთვის უარის თქმის მექანიზმის განსაზღვრასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი; რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მონაცემთა სუბიექტი უარის თქმის მექანიზმის გამოყენების გარეშე, უშუალოდ კომპანიისგან მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას; უნდა გადასცეს თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომ დამკვეთს უფლებამოსილმა პირმა იმ სატელეფონო ნომრების ბაზა, რომელთაც უარი განაცხადეს მათი სატელეფონო ნომრების გამოყენებაზე და სხვა.

ამდენად, პირდაპირი მარკეტინგის შუამავალი კომპანიის მეშვეობით განხორციელებისას, ორგანიზაციებმა შესაბამის ხელშეკრულებაში უნდა გაითვალისწინონ კანონით დადგენილი წესები და აკრძალვები, ე.წ. „შავი სიის“ სათანადოდ ფორმირებისა და გადაცემის საკითხი, დაწერგონ შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმის ეფექტიანი და ადეკვატური მექანიზმი.

მონაცემთა შეგროვება

2018 წელს მოქალაქეები ხშირად ეჭვქვეშ აყენებდნენ მათი სატელეფონო ნომრების მოპოვების კანონიერებას და მოითხოვდნენ მონაცემთა შეგროვების წყაროს დადგენას, ვინაიდან მათთვის უცნობი იყო, თუ საიდან მოიპოვეს კომპანიებმა აღნიშნული სატელეფონო ნომრები.

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა მოპოვების გზად, როგორც წესი, სახელდება საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროები და სხვადასხვა მომსახურების ფარგლებში უშუალოდ მომხმარებლისგან მოპოვებული საკონტაქტო მონაცემები, თუმცა ხშირად ორგანიზაციები ვერ უთითებდნენ სატელეფონო ნომრების მოპოვების კონკრეტულ წყაროს და არ აღრიცხავდნენ შესაბამის ინფორმაციას, რაც, თავის მხრივ, ზრდის პერსონალურ მონაცემთა უკანონოდ დამუშავების რისკს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით, პირს უფლება აქვს, მოითხოვოს ინფორმაცია მისი მონაცემების შეგროვების გზების თაობაზე. ამდენად, აუცილებელია, ორგანიზაციამ აღრიცხოს მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ ინფორმაცია.

ამდენად, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებისას ორგანიზაციებმა:

- შეტყობინების მიღებაზე უარის თქმის მექანიზმთან ერთად მონაცემთა სუბიექტ(ებ)ს ნათლად და გასაგები ფორმით უნდა მიაწოდონ დეტალური ინფორმაცია აღნიშნული მექანიზმის გამოყენების პროცედურის შესახებ;
- აღრიცხონ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავებული მონაცემების მოპოვების წყაროს შესახებ ინფორმაცია;
- შუამავალ კომპანიასთან ხელშეკრულება გააფორმონ წერილობითი ფორმით და უზრუნველყონ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვის ასახვა.

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში დაინერგა შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმის მექანიზმი, რიგ შემთხვევებში ის არ არის საკმარისი და ეფექტიანი ე.წ. სპამ შეტყობინებებისგან მოქალაქეთა დაცვა. მოქმედი კანონმდებლობა იძლევა მოქალაქეთა თანხმობის გარეშე საჯაროდ ხელმისაწვდომი

ვდომი წყაროებიდან მონაცემების მოპოვებისა და მარკეტინგის მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან, პირდაპირი მარკეტინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების სიმრავლის გათვალისწინებით ხშირად რთულია მონაცემთა დამმუშავებელი კონკრეტული პირის იდენტიფიცირება. მოქალაქეთა ინტერესების დაცვის, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებისა და კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, მიზანშეწონილია არსებული რეგულაციის გადასინჯვა, საჯარო წყაროებიდან მონაცემების გამოყენების შესაძლებლობის შეზღუდვა და პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების საფუძვლად მხოლოდ მოქალაქის ინფორმირებული თანხმობის განხილვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა მოამზადა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც 2019 წლის დასაწყისშივე წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

